# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ვერსია იხილეთ SAKRESP.GE

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№123-124 (10126-10127) 2026 წლის 10 სექტემბერი, ხუთშაბათი


## ქართული პატრიოტიზმის პარადოქსები



იხ. 8 გვ.

## ერთიანი ეთნოფსიქიკა და სეპარატიზმი საქართველოში

**არავითარი შეთანხმება არ ყოფილა დემარკაცია-დელიმიტაციის კუთხით“**


იხ. 2 გვ.

## „მარტივი ტყუილი და სპეკულაცია!

## მეწველი ძროხები თბილისის ქუჩებში



იხ. 10 გვ.


იხ. 11 გვ.

## 95 პროცენტი იმპორტირებულია! 5 პროცენტი ქართულია!!!




5

## ახალი გზავნილები საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიიდან



3

## შხამიანი თესლიდან კეთილშობილი ნაყოფი ვერ აღმოცენდება!



13

## დაუდგამენ ფაშინიანს ბაქოში ძეგლს?..

## ბათუმი-სარფის მაგისტრალური გზის მშენებლობა იწყება



7

ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

ორი მხარის სახელმწიფო საზღვრის დამდგენი დელიმიტაცია-დემარკაციის კომისიის ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელები თანხმდებიან ამა თუ იმ უბანზე და აწერენ ხელს. ამის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელების შეთანხმებას დამატებით ხელს აწერს დელიმიტაცია-დემარკაციის კომისიების თავმჯდომარე. ეს პოზიცია საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ეკუთვნის და ეს პირი ლაშა დარსალიაა.

მას შემდეგ, როდესაც ორ სახელმწიფოს შორის მთელი საზღვრის პერიმეტრი, ზედა ორი მუხლის მიხედვით სრულად დამთავრდება, მთელი საზღვრის პაკეტს და არა ნაწილობრივს კომისიის ხელმძღვანელი ერთიან პაკეტზე ხელმოწერით უგზავნის პრემიერ მინისტრს. პრემიერი აწერს ხელს და უგზავნის პრეზიდენტს. პრეზიდენტი აწერს ხელს და უგზავნის პრემიერს, კონტრასიგნაციის პრინციპით, ვინაიდან პრემიერი არის მთავრობის მეთაური და მხოლოდ მას აქვს უფლება, რომ სახელმწიფო საზღვრის შესახებ მომზადებული იურიდიული და კარტოგრაფიული პაკეტი განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგინოს პარლამენტს.

ამ პროცედურების გავლის შემდეგ, პრემიერი აღნიშნულ დოკუმენტაციას განსახილველად და დასამტკიცებლად უგზავნის პარლამენტს. პარლამენტი სამი განხილვის შემდეგ ამტკიცებს აღნიშნულ დოკუმენტაციას. ამის მერე, სახელმწიფოთა შორის საზღვარზე, გადიან ორივე მხარის სახელმწიფო საზღვრის დამდგენი დელიმიტაცია დემარკაციის კომისიის წევრები და მათ მიერ აღებულ და შეთანხმებულ კოორდინატთა წერტილებზე სვამენ სახელმწიფო საზღვრის აღმნიშვნელ ნიშნებს. ამ ბოლო პროცესს დემარკაცია ჰქვია.

ასეთია პროცედურა, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ განხორციელებულა. ეს კი ოფიციალურად ნიშნავს, რომ წესით არ უნდა არსებობდეს აზერბაიჯანულ მხარესთან საიდუმლო ხელშეკრულება იმასთან დაკავშირებით, რომ 2007 წელს, მიხეილ სააკაშვილის მიერ გადაცემული ტერიტორიები გადაუფორმეს აზერბაიჯანულ მხარეს და ამას ხელს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე აწერს. თუმცა, სამართლიანობა ითხოვს, ითქვას, რომ დავით გარეჯის სადაო მონაკვეთთან დაკავშირებით, საკითხი ისევ გაყინულია.

# მარტივი ტყუილი და სპეკულაცია!

**მთავრობის მეთაური აცხადებს, რომ დემარკაცია-დელიმიტაციის კუთხით, მათ შორის, გარეჯის მონაკვეთთან დაკავშირებით, არავითარი – არც წერილობითი, არც ზეპირი შეთანხმება არ ყოფილა, არის ტყუილი სპეკულაციები, რაც მარტივად გამოვლინდა. ირაკლი კობახიძემ თქვა, რომ ხელისუფლების მიზანია, დაიძრას აღნიშნული პროცესი და მიღწეულ იქნას პროგრესი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, თუმცა იქვე განაცხადა, რომ გასული წლების განმავლობაში არავითარი ცვლილება არ განხორციელებულა, შესაბამისად, არავითარი შეთანხმება არ ყოფილა დემარკაცია-დელიმიტაციის კუთხით.**

**„ეს იყო მარტივი ტყუილი და სპეკულაცია. განსაკუთრებული კომენტარების გაკეთება არც ღირს ამ თემასთან დაკავშირებით. მე, ზოგადად, შემიძლია გითხრათ, რომ არავითარი ცვლილება ამ წლების განმავლობაში საზღვრების დემარკაცია-დელიმიტაციის კუთხით არ განხორციელებულა. არავითარი ცვლილება არ განხორციელებულა არც ერთ ქვეყანასთან მიმართებით.**

**რა თქმა უნდა, ჩვენი მიზანია, რომ დავძრათ ეს პროცესი, მივაღწიოთ პროგრესს და პროგრესი უნდა იყოს, რა თქმა უნდა, ჩვენი ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ, თუმცა ხაზს გავუსვამ იმას, რომ არავითარი ცვლილება არ განხორციელებულა. შესაბამისად, არავითარ შეთანხმებაზე არ მოწერილა ხელი ამ გასული წლების განმავლობაში, დემარკაცია-დელიმიტაციის კუთხით. დანარჩენი ყველაფერი არის მარტივი ტყუილი და სპეკულაცია, რაც ძალიან მარტივად გამომჟღავნდა“** – აღნიშნა პრემიერმა.

რაც შეეხება ლაზარე ჯორბენაძის ბრალდებას და საქმეს, კობახიძე აცხადებს, რომ მისი მეშვეობით გავრცელდა უმარტივესი ტყუილი, რომელიც ძალიან მარტივად გაშიფვრადია. მისი თქმით, ლაზარე ჯორბენაძე არის ტრაგიკული პიროვნება, რომელმაც შემდეგ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.




## არავითარი შეთანხმება არ ყოფილა დემარკაცია-დელიმიტაციის კუთხით“

**„ადამიანი გარდაცვლილია, არ მინდა მასზე რაიმე ისეთი ვთქვა, მაგრამ ფაქტია – მისი მეშვეობით გავრცელდა უმარტივესი ტყუილი, რომელიც მგონი, ძალიან მარტივად გაშიფვრადია. ის საუბრობდა კონკრეტულ ხელშეკრულებაზე, რომელიც გაფორმდა. ასეთი ხელშეკრულება საიდუმლოდ ვერ ფორმდება. თქვენ იცით, რომ მთავრობის ყველა აქტი არის ღია და გამჭვირვალე. ვერც ერთი ასეთი შეთანხმება საიდუმლოდ ვერ გაფორმდება. აქედან გამომდინარე, ძალიან მარტივი ტყუილი გაავრცელებინეს ამ კაცს.**

* * *

**ცნობისთვის,** საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** საპატიმროდან მორიგი წერილი გამოაქვეყნა, რომელშიც სვამს კითხვას – **„რა გახდა უფლებადამცველი ლაზარე ჯორბენაძის გარდაცვალების რეალური მიზეზი“ და ამბობს, რომ საზოგადოებაში „დღემდე რჩება პასუხგაუცემელი კითხვები არაერთი ადამიანის თვითმკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა კობახიძე-მდინარაძის მმართველობის დროს“**

ამის შემდეგ, პროკურატურამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც დაადასტურა ლაზარე ჯორბენაძის თვითმკვლელობის ფაქტი, თუმცა მსჯავრდებულ **ირაკლი ღარიბაშვილისა** და სხვა პირების მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებების საფუძველზე, პროკურატურის ზედამხედველობით, შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, გამოკითხვა დაიწყო და გამოიკითხა ყველა ის პირი, ვინც ჯორბენაძის თვითმკვლელობის საქმე ხელისუფლების ინტერესებს დაუკავშირა.

* * *

თბილისის მერი **კახა კალაძე** აცხადებს, რომ არ იცის, კონკრეტულად რა ჯგუფებია და რა ინტერესები აქვთ, თუმცა ერთი რამ ცხადად იკვეთება, არის მცდელობა, რომ უსაფუძვლო ბრალდებებით და სპეკულაციებით ხელისუფლება დააზიანონ.

**„აღნიშნულ საკითხს სერიოზულად არ უნდა შევხედოთ. რამდენიმე დღის წინ გავაკეთე განცხადება, რომ ეს ყველაფერი არასერიოზულია. ეს ამ საუბრიდანაც იკვეთება, როცა მეტრები და კილომეტრები ვერ გაურკვევიათ და ვერ გაუგიათ, რაზეა საუბარი. არის ჩვეულებრივი სპეკულაციები, რათა ხელისუფლება დააზარალონ, ჩირქი მოსცხონ, თუმცა საზოგადოებაში არაფერი იმალება, ყველაფერი ცხადი და ნათელია – ეს არის ჩვეულებრივი სპეკულაციები და ტალახის სროლა ხელისუფლების მიმართ. არ ვიცი, კონკრეტულად რა ჯგუფებია და რა ინტერესები აქვთ, მაგრამ ერთი რამ ცხადად იკვეთება – არის მცდელობა იმისა, რომ ამ ტიპის უსაფუძვლო ბრალდებებით და სპეკულაციებით ხელისუფლება დააზიანონ“** – განაცხადა **კახა კალაძემ.**

მოამზადა

**თამთა ქარჩავამ**

## საზღვრის დელიმიტაციის პროცესი აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საზღვრების გადაკვეთის წერტილიდან დაიწყება



**აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯეიჰუნ ბაირამოვის განცხადებით, მიღწეულია შეთანხმება იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანისა და სომხეთის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის პროცესი აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საზღვრების გადაკვეთის წერტილიდან დაიწყება,** – ამის შესახებ **ჯეიჰუნ ბაირამოვმა** ჟურნალისტებთან **„ბაქოს კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის კვირეულის“** ფარგლებში გამართულ ღონისძიებაზე განაცხადა.

მისივე თქმით, გასული პერიოდის განმავლობაში ორი ქვეყნის კომისიებს შორის არაერთი შეხვედრა გაიმართა, ხოლო აზერბაიჯანსა და სომხეთში მიღებულ და დამტკიცებული იყო არაერთი დოკუმენტი, რომელიც კომისიების საქმიანობას არეგულირებს.

**„მიღწეულია შეთანხმება იმ მიმართულების შესახებ, რომლითაც ჩვენი საერთო საზღვრის დელიმიტაცია უნდა წარიმართოს. ასევე მიღწეულია შეთანხმება და არსებობს ურთიერთგაგება, რომ სამუშაოები ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით უნდა განხორციელდეს და წინ წაიწიოს დაწყებული ყველაზე რთული, ჩრდილოეთის მონაკვეთიდან, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საზღვრების გადაკვეთის წერტილიდან“,** „განაცხადა მინისტრმა.

# შალვა პაპუაშვილი ბრიუსელსა და ევროკავშირზე ისევ გაბრაზებულია!

**სამწუხაროდ, ბრიუსელი საქართველოსთან მიმართებით ჩიხშია შესული და საკუთარი თავისა და ილუზიების ტყვე გახდა,** □ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ **შალვა პაპუაშვილმა** ჟურნალისტებს განუცხადა.

ჟურნალისტებმა პაპუაშვილს ჰკითხეს ბელგიასა და ლუქსემბურგში დაგეგმილი ვიზიტის შესახებ. კერძოდ, □**ევროპას ყოველ კვირაში აკრიტიკებთ და ვისაც ძალადობაში ადანაშაულებთ, იმ ხალხთან შეხვედრას ცდილობთ?**□

პაპუაშვილის თქმით, მნიშვნელოვანია, ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან დიალოგი და საუბარი არგუმენტებით, რომ ბრიუსელი, რომელიც ევროკავშირის საუკეთესო ინტერესებით უნდა მოქმედებდეს, საქართველოს მიმართ არსებული პოლიტიკით აზიანებს ევროკავშირის ინტერესებს.

□**მცდელობა გაქვთ, ისე წარმოაჩინოთ, თითქოს ევროპა საქართველოს მტერია. ჩვენ როდის ვთქვით, ეს? □თქვენ ამბობთ. ჩვენ კონკრეტულ ჯგუფებზე ვსაუბრობთ. თქვენი აზრით, საქართველოს ინტერესების მტრობა არის თუ არა საქართველოში ძალადობის დაფინანსება? ის, რომ ევროპული ფონდები იხარჯებოდა, რომელსაც განკარგავენ მათ შორის ბრიუსელი, ევროპარლამენტის წევრები. ევროპის დემოკრატიის ფონდის მმართველ საბჭოს ჩახედეთ, ვინ არიან წევრები □ სწორედ ის რადიკალი ევროპარლამენტარები არიან, რომლებიც დიქტატორი სააკაშვილის მოკავშირეები არიან. რაც შეეხება ვიზიტებს, ბევრი ვიზიტი უკვე დაგეგმილია. სამწუხაროდ, ბრიუსელი საქართველოსთან მიმართებით ჩიხშია შესული და საკუთარი თავისა და ილუზიების ტყვე გახდა. ამ ჩიხიდან ვერ გამოდის. გვინდა, რომ ბრიუსელს დავეხმაროთ, ამ ჩიხიდან გამოვიდეს. ამ ჩიხში ყოფნით ბრიუსელი ევროკავშირის ინტერესებს აზიანებს, რადგან კანდიდატ ქვეყანასთან კონფრონტაციის გზა აქვს არჩეული.**

**ძალიან მნიშვნელოვანია, ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან დიალოგი და საუბარი გვქონდეს იმაზე, რომ ჩვენი არგუმენტები ვაჩვენოთ, რომ ბრიუსელი, რომელიც ევროკავშირის საუკეთესო ინტერესებით უნდა მოქმედებდეს, საქართველოს მიმართ არსებული პოლიტიკით აზიანებს ევროკავშირის ინტერესებს. ამ ვიზიტების მიზანია, სიცრუის ის ნარატივი გავარღვიოთ, რითაც ბრიუსელის ბიუროკრატია ცდილობს, საქართველოსთან დაკავშირებით დაამკვიდროს. ეს არის ორმხრივი ვიზიტი, რათა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ვესაუბროთ და ცილისწამებები ვაჩვენოთ. რაც თუნდაც გუშინ მოვისმინეთ. ვიზიტი ბელგიალუქსემბურგში გაიმართება, პროგრამას გაიგებთ. ჩვენ არც არაფერი აგვირევია, დასალაგებელი რომ გვქონდეს. ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ინტერესებით ვმოქმედებთ...“**



# შხამიანი თესლიდან კეთილშობილი ნაყოფი ვერ აღმოცენდება!

**შხამიანი თესლიდან კეთილშობილი ნაყოფი ვერ აღმოცენდება □ ეს არის, რასაც ოპოზიციაში ვაკვირდებით. ის, რაც ძირშივე მოწამლულია, იქიდან კარგი არაფერი გამოვა,** □ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ **შალვა პაპუაშვილმა** ჟურნალისტებს ოპოზიციასთან დაკავშირებით დასმული კითხვის პასუხად განუცხადა.

პაპუაშვილის თქმით, მმართველი გუნდი □**გულშემატკივრობს ამ პროცესს, რადგან საზოგადოება ბევრ ისეთ რაღაცას იგებს, რაც, შეიძლება, საჯაროდ არ ჩანდა**□

□**მაგალითად, რაც შეეხებოდა საარჩევნო კამპანიის დაფინანსებას, ვამბობდით, რომ უცხოეთიდან სხვადასხვა არხის გამოყენებით პარტიებში ფულის შემოდინება ხდებოდა. ახლა 40 მილიონსა და გილაურზე საუბრობენ, რა გგონიათ, მისი ფული იყო? ასე გამოიყენებოდა სხვადასხვა ადამიანის არხი, რათა უცხოეთიდან ფული შემოსულიყო და საქართველოს არჩევნებში ჩარევა მომხდარიყო. კარგია, რომ 40 მილიონის საკითხი ასე განიხილება და ყველაფერი ნელ-ნელა ცხადი ხდება. თავად ადასტურებენ, რომ მათ საარჩევნო კამპანიაში □შავი ფული□ტრიალებდა.**

**ასევე ადასტურებენ, რომ საქმე არადეკლარირებულ შემოსავლებთან გვაქვს. ეს ყველაფერი ადასტურებს, რაზეც ჩვენ ვსაუბრობდით, რომ ფიქტიური ჩარიცხვები, ადამიანების და სხვა არხების გამოყენება ხდებოდა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებიდან ფულის შემოდინებისთვის. ფული რისთვის შემოდიოდა, 2024 წელს ვნახეთ. გვარამია სალომე ზურაბიშვილს შეაწყალებინეს. ერთ-ერთ ევროპარლამენტარს, ვიოლა ფონ კრამონს წამოსცდა, რომ ნიკა გვარამიას შეწყალება ბრიუსელში წინასწარ იყო შეთანხმებული. მან თქვა, რომ ვიცოდით, სალომე ზურაბიშვილი ნიკა გვარამიას იწყალებდაო. ქართველმა ხალხმა და ხელისუფლებამ არაფერი ვიცოდით და ეს ყველაფერი ზურაბიშვილმა ბრიუსელს შეუთანხმა. გვარამია იმისთვის გამოუშვეს, რომ შემოდგომაზე, არჩევნების შემდეგ ამრევი ჰყოლოდათ.**

**ამ ყველაფრის შემდეგ რომ ბრიუსელი კიდევ აქეთ გვედავება, როცა კანდიდატ ქვეყანას ასეთ რაღაცებს გაუკეთებ, მის არჩევნებში ღიად ჩაერევი, მათ შორის, საკუთარი ელჩის მეშვეობით, როცა მისი არჩევნების დაფინანსებას □შავი ფულით□ ცდილობ, როდესაც ახალისებ ძალადობრივ ჯგუფებს, დეზინფორმაციას, გაქვს აგრესიული რიტორიკა ქართველი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების მიმართ და ამის შემდეგ კიდევ აქეთ ედავებიან ქართველ ხალხს, ეს ამორალურია□ □**განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა.**

ევროკავშირთან არ გვაქვს პრობლემა, პრობლემა გვაქვს ბრიუსელთან, რომელიც ევროკავშირის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებს, თუ უნდათ, რომ ვიყოთ ევროკავშირის წევრი, უნდა შეცვალონ პოლიტიკა!




# გეკა გელაძე ჩინეთში



**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, ჩინური მხარის ოფიციალური მიწვევით, გლობალური საზოგადოებრივი უსაფრთხოების თანამშრომლობის ფორუმში მონაწილეობს.**

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გეკა გელაძე, დელეგაციასთან ერთად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება. სუს-ის ინფორმაციით, უწყების ხელმძღვანელი, ჩინური მხარის ოფიციალური მიწვევით, გლობალური საზოგადოებრივი უსაფრთხოების თანამშრომლობის ფორუმში მონაწილეობს, რომელიც ქალაქ ლიანიუნგანგში იმართება.

□**2026 წლის ფორუმის ფარგლებში, მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყნიდან მიწვეული მაღალი რანგის სტუმრები გლობალური ტურბულენტური გარემოს ფონზე საზოგადოებრივი უსაფრთხოების მმართველობის საკითხებს განიხილავენ.**

**ღონისძიებაში მონაწილეობენ სხვადასხვა ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურებისა და სამართალდამცავი უწყებების ხელმძღვანელი პირები.**

**კონფერენციის გახსნამდე, გეკა გელაძე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრივი უსაფრთხოების მინისტრ ვანგ სიაოხუნგთან ერთად, გლობალური ფორუმის ფარგლებში გამართულ საზოგადოებრივი უსაფრთხოების ტექნოლოგიების რიგით მე-3 გამოფენას ეწვია და უსაფრთხოების თანამედროვე ტექნოლოგიებს გაეცნო. გამოფენას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრივი უსაფრთხოების პირველმა კვლევითმა ინსტიტუტმა უმასპინძლა**□ □აღნიშნულია ინფორმაციაში.

# მიშელ ჩერვონე დურსოსაც არ სცოდნია, რა ხდება საქართველოში!

**გაეროში ევროკავშირის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე □ მოვუწოდებთ საქართველოს, გააუქმოს ან არსებითად გადასინჯოს ბოლო დროს მიღებული კანონმდებლობა.**

**საქართველოს მოვუწოდებთ, გააუქმოს ან არსებითად გადასინჯოს ბოლო დროს მიღებული კანონმდებლობა,** □ამის შესახებ ჟენევაში, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 63-ე სესიაზე ევროკავშირის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილემ, **მიშელ ჩერვონე დურსომ** გააკეთა განცხადება.




განცხადებას ასევე შეუერთდნენ ალბანეთი, ლიხტენშტაინი, მოლდოვა, მონტენეგრო და ჩრდილოეთ მაკედონია. სიტყვით გამოსვლისას ევროკავშირის წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ადამიანის უფლებების კუთხით არსებულ გამოწვევებზე. განცხადებაში ცალკე თემატური ბლოკი დაეთმო საქართველოს.

□**ევროკავშირი შეახსენებს საქართველოს თავის ვალდებულებას, დაიცვას ფუნდამენტური თავისუფლებები და მოუწოდებს, გააუქმდეს ან არსებითად გადაიხედოს უახლესი კანონმდებლობა, რომელიც ძირს უთხრის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს.**

**ევროკავშირი ღრმად არის შეშფოთებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წინააღმდეგ მართლმსაჯულების სისტემის პოლიტიკურად მოტივირებული გამოყენებითა და ოპოზიციური ფიგურების, ადამიანის უფლებათა დამცველებისა და დამოუკიდებელი მედიის წინააღმდეგ მიმართული რეპრესიული ზომების მიღებით. ევროკავშირი მკაცრად გმობს თვითნებურ დაკავებებსა და მზარდ რეპრესიებს, მათ შორის ოპოზიციის ლიდერების, დამოუკიდებელი ჟურნალისტების, მედიის მუშაკებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტორების დაკავებას. ევროკავშირი ხაზს უსვამს, რომ საქართველომ მოაგვაროს ეს საკითხები, გაუთანაბროს თავისი პოლიტიკა საერთაშორისო სტანდარტებს და ჩაერთოს კონსტრუქციულ დიალოგში დემოკრატიულ ინსტიტუტების მიმართ ნდობის აღსადგენად**□ □განაცხადა **მიშელ ჩერვონე დურსომ.**

# პროკურატურამ კიდევ ერთი ღლავი-თაღლითი გამოიჭირა

**თბილისის პროკურატურის თაღლითობის სისხლის სამართლის საქმეებზე საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველომ დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე უცხო ქვეყნის მოქალაქეს ბრალდება წარუდგინა,** – ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

უწყების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა დაზარალებულებს გერმანული კომპანიის დირექტორად გააცნო თავი და თითქოსდა „**Mercedes-Benz**□ცენტრიდან, □მერსედესის□მარკის ავტომანქანის მათთვის შეძენის მოტივით 222 700 ევრო ჩაარიცხვინა საკუთარ ანგარიშზე. ბრალდებულმა ჩარიცხული თანხა მიისაკუთრა და პირადი მიზნებისთვის გამოიყენა, ხოლო დაზარალებულებს თითქოსდა გადაცემული თანხის უკან დაბრუნების საბანკო გადარიცხვის ყალბი დოკუმენტი გაუგზავნა.

ბრალდებულის ქმედებით დაზარალებულებს დიდი ოდენობით, 656 000 ლარის ქონებრივი ზიანი მიადგათ. ბრალდებულს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის □ბ□ქვეპუნქტით (თაღლითობა, ჩადენილი დიდი ოდენობით) დაუსწრებლად წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

# სადაც ზღვები ხვდება დერეფნებს!




## საქართველოს საერთაშორისო საზღვაო ფორუმი ბათუმში

**ივლისში ეკონომიკა გაიზარდა 8%-ით, შესაბამისად, მიმდინარე წლის პირველი 7 თვის ეკონომიკურმა ზრდამ 7.9% შეადგინა, ეს ნიშნავს იმას, რომ შენარჩუნებულია ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი, გვაქვს დადებითი დინამიკა ყველა მიმართულებით,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** მთავრობის 8 სექტემბრის სხდომაზე განაცხადა.

**საზღვაო ფორუმის ჩატარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გლობალური ეკონომიკის ახალი გამოწვევების ფონზე, როდესაც მარშრუტების დივერსიფიკაციის, მიწოდების ჯაჭვების მდგრადობისა და ევროპასა და აზიას შორის საიმედო კავშირების როლი სულ უფრო იზრდება,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** ბათუმში, საქართველოს საერთაშორისო საზღვაო ფორუმის გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა შუა დერეფანში საქართველოს განსაკუთრებულ როლზე გაამახვილა ყურადღება და სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარების გრძელვადიან გეგმებზე ისაუბრა.

**„საქართველო საუკუნეების განმავლობაში იყო ადგილი, სადაც ერთმანეთს ხვდებოდა აღმოსავლეთი და დასავლეთი, ევროპა და აზია და დღეს ჩვენ ვართ შუა დერეფნის განუყოფელი ნაწილი, რომელსაც დიდი პოტენციალი და სტრატეგიული დატვირთვა აქვს. მსოფლიო ბანკის შეფასებით, შესაბამისი ინვესტიციებისა და ეფექტიანობის ზრდის შემთხვევაში 2030 წლისთვის შუა დერეფანში ტვირთნაკადები შესაძლოა გასამმაგდეს, ხოლო გადაზიდვის დრო – განახევრდეს. ჩვენ ამ შესაძლებლობის ასათვისებლად გრძელვადიანი გეგმა შევიმუშავეთ. 2032 წლამდე ვგეგმავთ დაახლოებით 7 მილიარდი აშშ დოლარის მობილიზებას ძირითადი სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის.**

**ჩვენი 10-წლიანი გეგმა ითვალისწინებს რკინიგზის გამტარუნარიანობის გაორმაგებასა და ტვირთის გადაზიდვის დროის განახევრებას, ნავსადგურების გამტარუნარიანობის გაორმაგებას და საერთაშორისო აეროპორტების გამტარუნარიანობის გასამმაგებას“,** – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ უკვე გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები და განხორციელდა შესაბამისი ინვესტიციებიც – მხოლოდ მიმდინარე წელს რკინიგზის ინფრასტრუქტურისა და მოძრავი შემადგენლობის განახლებისთვის ერთ მილიარდ ლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდება, ასევე დასრულებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის საერთაშორისო მაგისტრალის 75%-ის მშენებლობა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, განხორციელებული ინვესტიციებისა და საქართველოს მთავრობის თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგები აისახება სექტორის მაჩვენებლებზეც და 2026 წელს ქვეყანას რეკორდული დინამიკა აქვს როგორც საზღვაო და სარკინიგზო, ისე საავიაციო მიმართულებებით.

**„საზღვაო სექტორში ერთი ფანჯრის სისტემის დანერგვით გაციფრულდა და კიდევ უფრო გამარტივდა ნავსადგურებში გემების მომსახურების პროცედურები.**

**მზარდი ტვირთნაკადების ფონზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი საპორტო შესაძლებლობების შემდგომ განვითარებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის პროექტი, რომლის მშენებლობაც აქტიურად მიმდინარეობს. ჩვენ ანაკლიის ნავსადგურს Landlord Port Model-ის საფუძველზე განვავითარებთ, რომლის ფარგლებში სახელმწიფო უზრუნველყოფს ძირითად სტრატეგიულ საპორტო ინფრასტრუქტურას, ხოლო კერძო სექტორი – ტერმინალების განვითარებასა და ოპერირებას. ეს მიდგომა აბალანსებს სახელმწიფოს სტრატეგიულ ინტერესებსა და კერძო სექტორის მონაწილეობას, ქმნის ფართო რეგიონული და საერთაშორისო მონაწილეობის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს საპორტო ინფრასტრუქტურაზე სამართლიან წვდომას. საქართველოს მთავრობის მიზანია, შუა დერეფანი გახდეს უფრო სწრაფი, საიმედო და პროგნოზირებადი, ამისთვის კი მნიშვნელოვანია კოორდინირებული მოქმედება და შავი ზღვის დაკავშირებადობის შემდგომი გაძლიერება“,** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი კობახიძის შეფასებით, შუა დერეფნის წარმატება და მისი პოტენციალის სრულად ათვისება დიდწილად დამოკიდებულია ინფრასტრუქტურისა და სატრანსპორტო სისტემების ეფექტიან დაკავშირებაზე. ასეთი თანამშრომლობის კარგ მაგალითად პრემიერ-მინისტრმა დაასახელა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტი, რომელიც საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა და ივნისიდან სრულად შევიდა ექსპლუატაციაში.

**„ჩვენი მიზანია, შუა დერეფანი გახდეს უფრო სწრაფი, საიმედო და პროგნოზირებადი. ამისთვის მნიშვნელოვანია კოორდინირებული მოქმედება და შავი ზღვის დაკავშირებადობის შემდგომი გაძლიერება. ამ ძალისხმევის ცენტრში დგას ადამიანური კაპიტალი. ქართველი მეზღვაურები და საზღვაო დარგის პროფესიონალები საქართველოს მნიშვნელოვანი რესურსია და მათთვის თანამედროვე განათლებისა და მაღალი პროფესიული სტანდარტების უზრუნველყოფა ჩვენი პრიორიტეტია. მზად ვართ, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით მომავალშიც აქტიური წვლილი შევიტანოთ შავი ზღვის რეგიონში საერთაშორისო საზღვაო სტანდარტების გაძლიერებაში.**

**განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შავ ზღვაზე უსაფრთხო ნაოსნობას, რეგიონში მშვიდობას, სტაბილურობას და საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაცვას. საქართველო რჩება საერთაშორისო სამართლისა და წესებზე დაფუძნებული საზღვაო წესრიგის ერთგული. საქართველომ საზღვაო ტრანსპორტის სექტორში ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ყველა ვალდებულება წარმატებით შეასრულა და საერთაშორისო საზღვაო სტანდარტების დანერგვას განაგრძობს. მჯერა, საქართველოს საერთაშორისო საზღვაო ფორუმი ხელს შეუწყობს პარტნიორობის გაძლიერებას, რეგიონული კავშირების შემდგომ განვითარებას და ახალი შესაძლებლობების შექმნას საქართველოსთვის, შავი ზღვის რეგიონისა და მთლიანად შუა დერეფნისთვის“,** – დასძინა **ირაკლი კობახიძემ.**

საერთაშორისო საზღვაო ფორუმის გახსნის ცერემონიაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი მარიამ ქვრივიშვილი, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის გენერალური მდივანი არსენიო დომინგესი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე.

საერთაშორისო საზღვაო ფორუმს სახელწოდებით „სადაც ზღვები ხვდება დერეფნებს“ ბათუმი 7-8 სექტემბერს მასპინძლობდა. ღონისძიებაში სხვადასხვა ქვეყნის 300-მდე დელეგატი მონაწილეობდა.

**მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური**

# ირაკლი კობახიძე: კორუფციასთან ბრძოლა გრძელდება!

**მთავრობის მეთაურმა ლოჯისტიკის, ტრანსპორტის, კომუნიკაციის, ენერგეტიკის, ტურიზმის სფეროში მიღწეულ შედეგებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი კორუფციასთან ბრძოლაა.**

**„ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ შარშანდელ წელთან შედარებით ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი გაუმჯობესდა, არის სწორედ ის, რომ მოვახერხეთ ხელისუფლების მაღალ დონეზე კორუფციის აღმოფხვრა და ვაგრძელებთ ბრძოლას კორუფციასთან ყველა დონეზე. ეკონომიკური ზრდა გვაძლევს სავალუტო რეზერვების შევსების შესაძლებლობას და გასულ თვეში სავალუტო რეზერვებმა მიაღწია რეკორდულ მაჩვენებელს, პირველად ისტორიაში სავალუტო რეზერვებმა შეადგინა – 8.14 მილიარდი აშშ დოლარი. წინა წელთან შედარებით, ჩვენი სავალუტო რეზერვები 56.4 პროცენტით გაიზარდა, წინა თვესთან შედარებით კი, 613 მლნ აშშ დოლარით შეივსო. ასევე, გაუმჯობესდა რეზერვების ადეკვატურობის მაჩვენებლებიც, რომელიც განისაზღვრება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიით. ადეკვატურობის 100%-იან ზღვარს ვაჭარბებთ და ადეკვატურობის მაჩვენებელი შეადგენს 128.2%-ს, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ამ სფეროში გვაქვს ძალიან გამართული მონაცემები და პოლიტიკა.**

**არასრულ ორ წელიწადში, 2024 წლის ოქტომბერთან შედარებით, რეზერვების მოცულობა გაორმაგდა. 2026 წლის განმავლობაში, სავალუტო ბაზრის ხელსაყრელი პირობებიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკი რეზერვების შევსებას ახორციელებს და იანვარ-ივლისში ჯამურად წმინდა შესყიდვებმა 2.5 მლრდ დოლარზე მეტი შეადგინა. რა თქმა უნდა, ამისთვის ეროვნულ ბანკს ეკუთვნის განსაკუთრებული მადლობა. ასევე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ჩვენი რეზერვების დივერსიფიკაციის მიმართულებით. ამ კუთხით, სტრატეგიული გადაწყვეტილება მიიღო ეროვნულმა ბანკმა 2024 წელს, როდესაც ოქროში პირველი ინვესტიცია განახორციელა. მას შემდეგ ოქროს ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთაშორისო ბაზრებზე, შესაბამისად, ამით გაიზარდა ჩვენი საერთო რეზერვების მოცულობა. მთლიანობაში, მიმდინარე წელსაც 100 მლნ აშშ დოლარის ღირებულების მონეტარული ოქრო შეიძინა ეროვნულმა ბანკმა. ოქროს წილი ჩვენს საერთო რეზერვებში შეადგენს 14%-ზე მეტს“,** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და ეროვნულ ბანკს ეფექტიანი მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა.

ირაკლი კობახიძე ასევე გამოეხმაურა PISA-ს კვლევის შედეგებს, რომელიც სასკოლო ასაკის ბავშვების შეფასების დონეს ეხება და რომლის თანახმად საქართველომ ყველა ძირითად სფეროში მაჩვენებლები გაიუმჯობესა.

**„მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში ბოლო ათწლეულის განმავლობაში მიღწეულია საუკეთესო შედეგი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, მიღწევების გაუმჯობესების თვალსაზრისით, კვლევაში მონაწილე მსოფლიოს 91 ქვეყანას შორის საქართველომ რეიტინგში პირველი ადგილი დაიკავა. მიღწევების გლობალური კლების პირობებში, საქართველო ინარჩუნებს გაუმჯობესების სტაბილურ ტენდენციას. ასევე შემცირდა დაბალი მიღწევების მქონე მოსწავლეთა წილი, ესეც არის მნიშვნელოვანი მიღწევა. ამ კუთხით გაუმჯობესების თვალსაზრისით საქართველო 91 ქვეყანას შორის პირველ სამეულშია. ასევე შემცირდა სხვაობა ქალაქისა და სოფლის სკოლების მოსწავლეთა მიღწევებს შორის, ანუ თანასწორობის უზრუნველყოფის კუთხითაც ეს მაჩვენებელი ძალიან მნიშვნელოვანია. კვლევამ გამოავლინა, რომ მოსწავლეები პოზიტიურად აფასებენ სასწავლო გარემოს. გამოკითხვების შედეგების თანახმად, სასწავლო გარემოს, სკოლისადმი კუთვნილების, დისციპლინისა და ბულინგის დონის შეფასებებით, საქართველოს მაჩვენებლები საშუალოს უტოლდება, ან საშუალოზე უკეთესია. ამ შედეგებითაც ვერ ვიქნებით კმაყოფილები. მიუხედავად გაუმჯობესების სერიოზული ტენდენციისა, გვაქვს ხარვეზები, ბევრი რამ გასაუმჯობესებელია და სწორედ ამას ეძღვნება ჩვენი განათლების რეფორმის კონცეფცია, რომელიც როგორც უმაღლესი განათლების, ასევე, ზოგადი განათლების დონეზე, წარვადგინეთ საზოგადოების წინაშე. ჩვენი რეფორმის გეგმების სათანადო განხორციელება უზრუნველყოფს ჩვენი სკოლის მოსწავლეების შედეგების კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესებას საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში“,** – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

პრემიერ-მინისტრმა ახალი სასწავლო წლის დაწყების შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ სწავლა 30-მდე განახლებულ სკოლაში დაიწყება, ასევე მოსწავლეები სხვადასხვა საგანს განახლებული სახელმძღვანელოებით ისწავლიან.

**„სწავლას იწყებს 45 ათასი პირველკლასელი, აქედან 38 ათასი – საჯარო სკოლებში და 7 ათასი კერძო სკოლებში. 30-მდე განახლებულ სკოლაში დაიწყება სწავლა, ეს არის ან ახალი, ან სრულად რეაბილიტირებული სკოლები. წარმატებით დავიწყეთ სახელმძღვანელოების განახლების პროგრამა და ბევრი მიმართულებით ახალი სახელმძღვანელოებით ისწავლიან სკოლის მოსწავლეები შესაბამის საგნებს. უახლოეს მომავალში მთლიანად განახლდება სასკოლო სახელმძღვანელოები, რომლებიც დაეფუძნება მათ შორის ჩვენს ტრადიციულ ღირებულებებს. 100 სკოლაში იხსნება რობოტიკის კლუბი. საბაზო საფეხურზე დამატებით 100 სკოლაში იხსნება STEM-კლუბი. ჯამურად STEM-კლუბები იქნება 500 სკოლაში. ფართოვდება სამხედრო საქმის პროგრამა. არსებულ 140 სკოლას დაემატება 100 სკოლა ამ თვალსაზრისით და ეს სწავლება განახლებული თანამედროვე რესურსებით განხორციელდება. ასევე გრძელდება ღირებულებითი განათლების კლუბების პროგრამა. 140 სკოლას ამ კუთხით დაემატება 60 სკოლა. მოსწავლეებს ასევე დაემატებათ ახალი არჩევითი კურსები – ფინანსური წიგნიერება, მედიაწიგნიერება, წიგნიერება და ხელოვნური ინტელექტი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ 21 არაქართულენოვან სკოლაში ქართული სექტორი გაიხსნა, გადამზადებულია 600-ზე მეტი ბილინგვური სწავლების სპეციალისტი და პროგრამაში ჩართული სკოლები უზრუნველყოფილია შესაბამისი ბილინგვური საგანმანათლებლო რესურსებით“,** – აღნიშნა **ირაკლი კობახიძემ.**

პრემიერ-მინისტრმა განათლების რეფორმის მნიშვნელობაზე ისაუბრა და ყველა სტუდენტსა და მოსწავლეს წარმატებები უსურვა.

**მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური**

# ახალი გზავნილები ეროვნული აკადემიიდან

## განცხადება

### საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აცხადებს ვაკანსიებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრთა (აკადემიკოსთა) და წევრ-კორესპონდენტთა ასარჩევად შემდეგ სპეციალობებში:

| სპეციალობა | ვაკანსია |
|---|---|
| მათემატიკა | 1 |
| გეოლოგია | 1 |
| ბიოლოგია | 1 |
| რადიოლოგია | 1 |
| არქეოლოგია | 1 |
| ქართული ენა და ლიტერატურა | 1 |

**წევრ-კორესპონდენტთა ვაკანსიები**

| სპეციალობა | ვაკანსია |
|---|---|
| საერთაშორისო ურთიერთობები | 1 |
| მეღვინეობა | 1 |

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, საქართველოში მოღვაწე, მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე მეცნიერი, რომელსაც საერთაშორისო დონის წვლილი აქვს შეტანილი მეცნიერების განვითარებაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, საქართველოში მოღვაწე, მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე მეცნიერი, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი მეცნიერების განვითარებაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვს: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრს (აკადემიკოსს); ავტორიზებულ საჯარო, კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას (აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით); საჯარო სამართლის იურიდიულ პირს □სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას (სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვს: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრს (აკადემიკოსს), წევრ-კორესპონდენტს; ავტორიზებულ საჯარო, კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას (აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით); საჯარო სამართლის იურიდიულ პირს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას (სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრობისა (აკადემიკოსობის) და წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი საბუთები (ორ ეგზემპლარად):

აკადემიკოსობის კანდიდატებისათვის აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების), ხოლო წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატებისათვის აკადემიის ნამდვილი წევრების ან წევრ-კორსპონდენტების წარდგინება (დედანი), დამოწმებული წარმდგენის ხელმოწერითა და სველი ბეჭდით, ან ავტორიზებული საჯარო, კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით); საჯარო სამართლის იურიდიული პირის □სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების (სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით) წარდგინება (დედანი, დაბეჭდილი ტიტულოვან ბლანკზე) სათანადო დასაბუთებით, დამოწმებული წარმდგენის ხელმოწერითა და დაწესებულების სველი ბეჭდით;

ფერადი ფოტო 4/6;

მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიური დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (დამოწმებული ნოტარიულად);

მონაცემები შრომითი და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (CV);

ძირითადი სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი სრული ფორმით (უცხოეთში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები აღინიშნება ვარსკვლავით);

კანდიდატის სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება დარგის სპეციალისტის მიერ;

კანდიდატის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

საბუთები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე (საჭიროების შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი) პირადად აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის), წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატთა მიერ.

საბუთები კანდიდატთა რეგისტრაციისათვის მიიღება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში 2026 წლის 14 სექტემბრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: რუსთაველის გამზ., 52, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (ადამიანური რესურსების მართვისა და სპეციალურ დავალებათა დეპარტამენტი, IV სართული, ოთახი 409, ტელ. 2 93-29-86; მობ.: 599-51-00-07; 577 40-61-51). საბუთები მიიღება ყოველ სამუშაო დღეს 11-დან 17 საათამდე.

აღნიშნული განცხადება და კანდიდატის მონაცემები (CV) გამოქვეყნდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვებგვერდზე (www.science.org.ge).

კანდიდატის CV და ფოტოსურათი წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული ფორმით ელექტრონულ მისამართზე hr@science.org.ge.

**შენიშვნა:** დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია აკადემიის ადამიანური რესურსების მართვისა და სპეციალურ დავალებათა დეპარტამენტში.

---

## განცხადება

### საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აცხადებს კონკურსს გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიების მოსაპოვებლად:

**1. ანდრია რაზმაძის სახელობის პრემია – მათემატიკის დარგში**

**2. კირიაკ ზავრიევის სახელობის პრემია – სამშენებლო მექანიკის დარგში**

**3. ლეო დავითაშვილის სახელობის პრემია – ევოლუციის თეორიისა და პალეობიოლოგიის დარგში**

**4. ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის პრემია – გეოლოგიის დარგში**

**5. იოველ ქუთათელაძის სახელობის პრემია – ფარმაკოქიმიის მეცნიერების დარგში**

**6. ალექსანდრე ნათიშვილის სახელობის პრემია – ადამიანის ანატომიის, მორფოლოგიის, ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის დარგში**

**7. ლეონარდე დეკაპრელევიჩის სახელობის პრემია – კულტურულ მცენარეთა გენეტიკასა და სელექციის დარგში**

**8. გიორგი ნიორაძის სახელობის პრემია – არქეოლოგიის დარგში**

**9. ვარლამ თოფურიას სახელობის პრემია – ენათმეცნიერების, ქართველური ენების დარგში.**

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს თვალსაჩინო თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობის მეცნიერული ნაშრომი (მონოგრაფია, სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული შრომა ან შრომათა ციკლი), რომელიც საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში ავტორთა ჯგუფის ან ცალკეულ პირთა მიერ არის შესრულებული.

კოლექტიურ ნაშრომში პრემია მიეცემა იმ ავტორებს, რომელთაც დაადგენს წარმომდგენი.

პრემიის გაყოფა ორ ან მეტ მაძიებელს შორის სხვადასხვა ნაშრომისათვის დაუშვებელია.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნდა ბოლო ათი წლის განმავლობაში, მაგრამ არა უგვიანეს ექვსი თვისა განცხადების გამოქვეყნებამდე.

ნაშრომი, რომელსაც ადრე მიენიჭა სახელმწიფო პრემია ან რომელიმე სხვა სამეცნიერო პრემია, ამ კონკურსში არ მიიღება.

ერთსა და იმავე პირს ერთი და იგივე პრემია განმეორებით არ მიეცემა.

იმ ორგანიზაციებმა ან ცალკეულმა პირებმა, რომლებიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში პრემიის მოსაპოვებლად წარმოადგენენ კანდიდატს, უნდა მიუთითონ პრემიის დასახელება.

კონკურსში მონაწილემ საჭიროა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) საკონკურსო სამეცნიერო ნაშრომი სამ ცალად;

ბ) დასაბუთებული წარდგინება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულ დახასიათებას, მის თეორიულ ან პრაქტიკულ მნიშვნელობას მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებისათვის;

*(ნაშრომი პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო საზოგადოებების, სამეცნიერო ცენტრების ან შესაბამისი დარგის წამყვან მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ).*

გ) მონაცემები ავტორის შესახებ (საანკეტო მონაცემები CV); ძირითად სამეცნიერო შრომათა და გამოგონებათა ნუსხა;

დ) წარმომდგენის დასტური იმის შესახებ, რომ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომს ადრე არ ჰქონია მინიჭებული პრემია.

ე) ყველა საკონკურსო დოკუმენტის ელექტრონული ვერსია.

მასალები პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს **2026 წლის 14 სექტემბრიდან 5 ოქტომბრის** ჩათვლით, შემდეგ **მისამართზე:** თბილისი, რუსთაველის გამზ. N52, ოთახი 320. საბუთები მიიღება ყოველი სამუშაო დღის $11^{00}$-დან $17^{00}$ საათამდე.

**დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელ. 2-99-00-52**

**თუ საქართველო ნეიტრალური და სახელმწიფოებრივად გამთლიანებული, 3+3 ფორმატიც სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს. მისი მთავარი წინაპირობა უნდა იყოს საქართველოს სუვერენიტეტისა და სახელმწიფოებრივი მთლიანობის აღიარება, დეოკუპაცია და 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ასეთ პირობებში რუსეთი, თურქეთი, ირანი, სომხეთი და აზერბაიჯანი შეიძლება იქცნენ არა საქართველოს დანაწევრებული მდგომარეობის მომხმარებლებად, არამედ ახალი რეგიონული წესრიგის გარანტორებად.**

**ფორმატი შეიძლება დაეფუძნოს რამდენიმე ძირითად პრინციპს: საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის აღიარებას. საზღვრების ხელშეუხებლობას; უცხოური სამხედრო ბაზების არდაშვებას ნეიტრალურ საქართველოში; რეგიონული კომუნიკაციების გახსნას; ეკონომიკურ თანამშრომლობას; ერთმანეთის წინააღმდეგ ტერიტორიების გამოუყენებლობას. ასეთ პირობებში, 3+3 აღარ იქნებოდა მხოლოდ გავლენის სფეროების კონკურენციის პლატფორმა. იგი შეიძლება გახდეს სამხრეთ კავკასიის სტაბილურობისა და თანამშრომლობის ინსტრუმენტი.**




# ნეიტრალური საქართველო და აქილევსის ქუსლი

## აფხაზეთის რკინიგზა — ახალი წესრიგის მატერიალური შედეგი

**მხოლოდ ასეთი პოლიტიკური შეთანხმების შემდეგ იძენს რეალურ მნიშვნელობას აფხაზეთის რკინიგზის აღდგენა. მისი გახსნა არ უნდა იყოს პოლიტიკური მოგვარების წინაპირობა. იგი უნდა იყოს უკვე მიღწეული სახელმწიფოებრივი გამთლიანების შედეგი.**

ამ შემთხვევაში, აფხაზეთის რკინიგზა საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო ქსელის ნაწილი გახდება. ის დააკავშირებს ჩრდილოეთის მიმართულებას დანარჩენ საქართველოსთან და შექმნის შესაძლებლობას, აღმოსავლეთ-დასავლეთის შუა დერეფანს ჩრდილოეთ-სამხრეთის ფუნქციაც დაემატოს.

**ამგვარად, საქართველოს ტერიტორიაზე ერთმანეთს შეიძლება შეხვდეს ორი დიდი ღერძი:**

**ევროპა⇨საქართველო⇨აზერბაიჯანი⇨ ცენტრალური აზია⇨ჩინეთი და რუსეთი⇨ აფხაზეთის რეგიონი⇨დანარჩენი საქართველო⇨სომხეთი ან აზერბაიჯანი⇨თურქეთი ან ირანი.**

**ეს უკვე კვანძოვანი სახელმწიფოს მოდელია.**

## აქილევსის ქუსლი

**თუმცა, აქ მთავრდება გეოპოლიტიკური ოპტიმიზმი. შეიძლება, შეიქმნას საუკეთესო ნეიტრალიტეტის შეთანხმება. შეიძლება, შეიცვალოს რუსეთის დამოკიდებულება. შეიძლება, ჩამოყალიბდეს ახალი 3+3. შეიძლება, ამოქმედდეს შუა დერეფანი. შეიძლება, აღდგეს აფხაზეთის რკინიგზა.**

თუმცა, თუ მოუგვარებელი დარჩა ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების შიდა საფუძველი, მთელი სისტემა კვლავ მყიფე იქნება. საქართველოს აქილევსის ქუსლი სწორედ ეს არის. აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან კონფლიქტი მხოლოდ ტერიტორიული დავა არ არის. მის საფუძველში დგას ღრმა ფსიქოლოგიური და სოციალური შიშები. ამ შიშებიდან სამი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სიცოცხლისა და ფიზიკური უსაფრთხოების შიში – ომგამოვლილი საზოგადოებისთვის ყველაზე პირველადი კითხვა სტატუსი კი არა, უსაფრთხოებაა.

დაბრუნდება თუ არა ომი? იქნება თუ არა დაცული ოჯახი? გაიმეორებს თუ არა სახელმწიფო წარსულ ძალადობას? ამიტომ, ნებისმიერი გამთლიანების მოდელის პირველი საფუძველი უნდა იყოს უსაფრთხოების სანდო გარანტია. თუ სიცოცხლის უსაფრთხოების შიში არ გაქრა, პოლიტიკური შეთანხმება ვერ გახდება მდგრადი.

**2. იდენტობისა და ენის გაქრობის შიში** – განსაკუთრებით აფხაზური საზოგადოების შემთხვევაში, ეს შეიძლება იყოს ერთ-ერთი, ყველაზე ძლიერი ფაქტორი. მცირე ეთნოსისთვის ენა და იდენტობა, ხშირად, თვითგადარჩენის საკითხია. თუ საერთო სახელმწიფოში დაბრუნება ასიმილაციასთან, ენის დასუსტებასთან ან კულტურული თავისებურების დაკარგვასთან ასოცირდება, ეკონომიკური არგუმენტები არასაკმარისი იქნება.

საქართველოს შეთავაზება უნდა იყოს საპირისპირო: აფხაზური იდენტობისა და ენის მომავალი საერთო სახელმწიფოში უფრო დაცული უნდა იყოს, ვიდრე მის გარეთ. ეს ნიშნავს რეალურ ენობრივ, კულტურულ, საგანმანათლებლო და ინსტიტუციურ გარანტიებს. სახელმწიფოებრივი გამთლიანება არ უნდა ნიშნავდეს იდენტობის გაქრობას. პირიქით, იგი უნდა იქცეს მისი დაცვის ინსტრუმენტად. ამ პრინციპის უკეთ გასააზრებლად, სასარგებლოა სამხრეთ ტიროლისა და ალანდის კუნძულების გამოცდილების განხილვა.

ეს მაგალითები კავკასიისთვის გადასატანი მზა მოდელები არ არის. მათი მნიშვნელობა სხვა რამეშია: ისინი აჩვენებენ, რომ ძლიერი ენობრივი, კულტურული და თვითმმართველობითი გარანტიები სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას პრინციპულად არ ეწინააღმდეგება. შესაძლებელია, ფართო თვითმმართველობა, ენის დაცვა, საკუთარი საგანმანათლებლო სისტემის არსებობა და პოლიტიკური წარმომადგენლობა ისე, რომ საერთო სახელმწიფოებრივი სივრცე შენარჩუნდეს.

**3. გამარჯვებულის ღირსების დაკარგვის შიში** – ეს, შესაძლოა, ყველაზე ნაკლებად გააზრებული, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემაა. საკუთარი კოლექტიური მეხსიერებით გამარჯვებულად ჩამოყალიბებულ საზოგადოებას შეიძლება შეთანხმება კაპიტულაციად მოეჩვენოს.

ჩნდება კითხვა: თუ დღეს საერთო სახელმწიფოში დაბრუნება ხდება, რას ნიშნავდა მსხვერპლი? ნიშნავს თუ არა შეთანხმება იმას, რომ გამარჯვება გაუქმდა? თუ ამ ფსიქოლოგიურ პრობლემას პასუხი არ გაეცა, კომპრომისი შეიძლება ღალატად ჩაითვალოს. ამიტომ, მშვიდობიანი გამთლიანების ფორმულამ უნდა მისცეს მეორე მხარეს შესაძლებლობა, შეთანხმებაში ღირსების დაკარგვის გარეშე შევიდეს. გამარჯვების ცნება შეიძლება შეიცვალოს. გამარჯვება შეიძლება ნიშნავდეს არა საქართველოსგან განცალკევებას, არამედ, საკუთარი ენის გადარჩენას, იდენტობის დაცვას, უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ფართო თვითმმართველობას და მომავალი თაობებისთვის გარანტირებულ არსებობას. ამ შემთხვევაში, შეთანხმება აღარ არის კაპიტულაცია. იგი შეიძლება იქცეს სხვა ტიპის გამარჯვებად.

## ქართველი საზოგადოების შიშები

**სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ეს ფსიქოლოგიური არქიტექტურა ცალმხრივი არ არის. ქართველ საზოგადოებასაც აქვს საკუთარი შიშები, რომელთა უგულებელყოფაც ნდობის მშენებლობისთვის ისეთივე დაბრკოლებაა, როგორც აფხაზური და ოსური შიშების იგნორირება. უპირველესად, არსებობს სახელმწიფოს დაშლის შიში.**

ნებისმიერი ფართო ავტონომია ან ასიმეტრიული ფედერალიზმი ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებაში ხშირად აღიქმება არა, როგორც თანაცხოვრების ფორმა, არამედ, როგორც სახელმწიფოს თანდათანობითი დაშლის შესაძლო პირველი საფეხური.

პოსტსაბჭოთა გამოცდილებამ ქართველ საზოგადოებაში გააჩინა წარმოდგენა, რომ ფართო ავტონომია გარკვეულ პირობებში შეიძლება სეპარაციის შემდგომი კონსოლიდაციის ინსტრუმენტად იქცეს. მეორე არის გარე ძალის მიერ ინსტრუმენტალიზაციის შიში. არსებობს ეჭვი, რომ ნებისმიერი ინსტიტუციური დათმობა შეიძლება მესამე ძალამ გამოიყენოს შემდგომი პოლიტიკური ზეწოლისთვის და რომ ავტონომია დაცვის ინსტრუმენტის ნაცვლად, გავლენის შენარჩუნების მექანიზმად იქცეს. მესამე არის ისტორიული განმეორების შიში. 1990-იანი წლების გამოცდილებამ, როდესაც სახელმწიფოებრივი სისუსტე და ტერიტორიული დანაკარგი ერთმანეთს დაემთხვა, ქართველ საზოგადოებაში დეცენტრალიზაციასა და სახელმწიფოებრივ რღვევას შორის ძლიერი ასოციაციური კავშირი შექმნა.ეს შიშები ქმნის ქართული მხრიდან თავდაცვით რეაქციასაც, ამიტომ ნდობის აღდგენის ფორმულა ვერ იქნება ცალმხრივი დამშვიდება. საბოლოო მოდელმა ორივე მხარის შიში უნდა გაითვალისწინოს ისე, რომ არც ერთის უსაფრთხოება მეორის ხარჯზე არ აშენდეს.

## ოთხი გარანტია

**ამიტომ, საქართველოს სახელმწიფოებრივი გამთლიანების გრძელვადიანი ფორმულა მხოლოდ დეოკუპაცია ვერ იქნება. მას, მინიმუმ, ოთხი ძირითადი გარანტია სჭირდება: სიცოცხლის უსაფრთხოების გარანტია, იდენტობისა და ენის დაცვის გარანტია, ღირსების დაცვის გარანტია, საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის შეუქცევადობის გარანტია.**

მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საერთო სახელმწიფო იქცეს არა იძულებით სივრცედ, არამედ საერთო მომავლის სივრცედ.

რუსეთის სამხედრო ფაქტორის გაქრობა კონფლიქტის გადაწყვეტისთვის აუცილებელი შეიძლება იყოს, მაგრამ საკმარისი არაა. თუ დარჩა შიში, დარჩება კონფლიქტის სოციალური საფუძველიც. და სწორედ ეს სოციალური საფუძველი შეიძლება მომავალში კვლავ გამოიყენოს ნებისმიერმა გარე ძალამ.

ამიტომ, კონფლიქტის ნამდვილი განეიტრალება ნიშნავს არა მხოლოდ სამხედრო ძალების გაყვანას, არამედ იმ პირობების მოშლასაც, რომლებიც განცალკევების მოთხოვნას კვლავ წარმოშობს.

## დასკვნა

**ნეიტრალური საქართველო შეიძლება გახდეს ძლიერი გეოპოლიტიკური კონსტრუქცია. სახელმწიფოებრივად გამთლიანებულ საქართველოს შეუძლია ერთდროულად დააკავშიროს ევროპა, ცენტრალური აზია, ჩინეთი, რუსეთი, თურქეთი, ირანი და სამხრეთ კავკასია.**

მისი უსაფრთხოება შეიძლება ეფუძნებოდეს არა ერთი დიდი ძალის პატრონაჟს, არამედ რამდენიმე ურთიერთკონკურენტი ძალის ინტერესთა ბალანსს. შუა დერეფანი შეიძლება გახდეს მისი აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძი. აფხაზეთის რკინიგზა, სახელმწიფოებრივი გამთლიანების შემდეგ, შეიძლება გახდეს ჩრდილოეთ-სამხრეთის ახალი კავშირის ნაწილი. 3+3 შეიძლება გადაიქცეს რეგიონული გარანტიების ფორმატად. ნეიტრალიტეტმა შეიძლება შეამციროს სამხედრო ბლოკებს შორის საქართველოს გამო დაპირისპირების მოტივი, მაგრამ ამ ყველაფრის წინაპირობა შინაგანი მშვიდობაა. საქართველოს ყველაზე დიდი საფრთხე მხოლოდ ის არ არის, რომ რომელიმე დიდმა ძალამ შეიძლება მისი გზა დაბლოკოს. უფრო ღრმა საფრთხეა ის, რომ სახელმწიფოს შიგნით დარჩეს ისეთი კონფლიქტი, რომლის ხელახლა გამოყენებაც ყოველთვის შესაძლებელი იქნება.

**ამიტომ საქართველოს სტრატეგიული ფორმულა საბოლოოდ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:**

**სიცოცხლის უსაფრთხოება⇨ იდენტობის დაცვა⇨ღირსების შენარჩუნება⇨სახელმწიფოებრივი ერთიანობის გარანტია⇨ ორმხრივი ნდობა⇨ სახელმწიფოებრივი გამთლიანება ⇨გარანტირებული ნეიტრალიტეტი⇨ რეგიონული თანამშრომლობა⇨ მრავალმხრივი დერეფნები⇨ ეკონომიკური ძალა ⇨ სახელმწიფოებრივი სუბიექტობა.**

და სწორედ აქ იკვეთება მთავარი დასკვნა: **ნეიტრალიტეტმა შეიძლება დაიცვას საქართველო გარედან, მაგრამ სახელმწიფოებრივი გამთლიანების მდგრადობა შიგნიდან უნდა შეიქმნას. თუ სიცოცხლის შიში შეიცვლება უსაფრთხოებით, იდენტობის დაკარგვის შიში – დაცულობით, სახელმწიფოებრივი დაშლის შიში – მყარი ინსტიტუციური გარანტიებით, ხოლო გამარჯვებულის ღირსების დაკარგვის შიში – ღირსეული თანაცხოვრების შესაძლებლობით, მაშინ საქართველოს აქილევსის ქუსლი შეიძლება მისი ყველაზე დიდი სისუსტიდან მომავალი სახელმწიფოს სიმტკიცის საფუძვლად გადაიქცეს.**



**ლევან მეტონიძე,**
სოციოლოგი

დასასრული, დასაწყისი იხილეთ: „სრ“ №1121-122

# განათლების და ჯანდაცვის დაფინანსების ეფექტურობით ევროპის საუკეთესო ათეულში ვართ!

**ჩენდლერის ინსტიტუტი კარგი მთავრობის 2026 წლის ანგარიშის ფარგლებში, ხარჯეფექტურობის რეიტინგს (Spending Efficiency)აქვეყნებს.**

ინდიკატორის მეთოდოლოგია აფასებს ფინანსების ეფექტურობას ორ ძირითად სფეროზე: ჯანდაცვა და განათლება.

ჯანდაცვის სფეროსთვის, შემავალი ცვლადია ერთ სულ მოსახლეზე ჯანდაცვის ხარჯები (მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით PPP), ხოლო გამომავალი ცვლადებია სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა (50% წონა) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ასაკობრივი და სიცოცხლის ხანგძლივობის სტანდარტიზირებულად შეწონილი მაჩვენებელი (50% წონა).

განათლების სფეროში, შემავალი ცვლადია ერთ სულ მოსახლეზე განათლების სახელმწიფო ხარჯები (მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხედვით PPP), ხოლო გამომავალი ცვლადები მოიცავს ადამიანის განვითარების ინდექსში (HDI) ინტეგრირებულ განათლების ინდექსს (50% წონა), ახალგაზრდების წიგნიერების მაჩვენებელს (25% წონა) და იმ ახალგაზრდების პროპორციას, რომლებიც არ იღებენ განათლებას, არ არიან დასაქმებულნი, ან არ არიან გადამზადებულნი (NEET) (25% წონა).

**გლობალურ გამოკვლევაში საქართველომ მაღალი შეფასება მიღო, მსოფლიოში 36-ე პოზიციაზე მოხვდა და ევროპის საუკეთესო ათეულშია. საქართველო უსწრებს დიდი შვიდეულის 5 ქვეყანას, ევროკავშირის, შენგენის ზონის და ნატოს წევრ 25 სახელმწიფოს. ეს ქვეყნებია: დიდი ბრიტანეთი, კანადა, შეერთებული შტატები, საფრანგეთი, იტალია, ლუქსემბურგი, შვეიცარია, უნგრეთი, პორტუგალია, ესპანეთი, ბელგია, დანია, ავსტრია, ჩეხეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი, ხორვატია, ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, რუმინეთი, ბულგარეთი, მონტენეგრო, ჩრდილოეთ მაკედონია, თურქეთი.**

ინდიკატორი ეფუძნება გაეროს, მსოფლიო ბანკის, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და სავალუტო ფონდის თემატურ კვლევებს.



# იმერეთში ვეტერან ფერმერებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა გადასცეს

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით სონღულაშვილმა, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორ კობა კობალაძესთან და საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის ელჩ მუსტაფა თურქერ არისთან ერთად, იმერეთის რეგიონში მცხოვრებ ვეტერან ფერმერებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა გადასცა.**

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, ვეტერან ფერმერებს 20 ერთეული ხელის ტრაქტორი თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მხარდაჭერით გადაეცათ. დავით სონღულაშვილმა თურქეთის რესპუბლიკის ელჩს და TIKA-ს ვეტერანი ფერმერების მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მსგავსი პროექტები ორ ქვეყანას შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის კიდევ ერთი მაგალითია.

**„დღევანდელი დღე კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩვენი ვეტერანი ფერმერების ღვაწლი და მათ მიერ ქვეყნის წინაშე გაწეული სამსახური ჩვენი ხელისუფლებისთვის მუდმივი ყურადღებისა და ზრუნვის საგანია. სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სოფლის მეურნეობის განვითარებას და ფერმერების, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ფერმერების მხარდაჭერას. ამ მხარდაჭერის ფარგლებში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობას. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ქვეყნის ეკონომიკაზე აისახება და ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას“,** – აღნიშნა **დავით სონღულაშვილმა.**

სამინისტროს ცნობით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გადაცემა ვეტერანი ფერმერების სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობასა და მათი შესაძლებლობების გაძლიერებას ემსახურება.

**„ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურსა და თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) შორის პარტნიორობა 2017 წელს დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში, თურქული მხარის ხელშეწყობით, ვეტერანებისთვის არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, მათ შორის, სოფლის მეურნეობისა და ჯანდაცვის მიმართულებებით“,** – აღნიშნულია სამინისტროს ინფორმაციაში.

# ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში ინოვაციებისა და სტარტაპ-აქსელერაციის საზაფხულო სკოლა – 2026 დასრულდა



**ქუთაისის ტექნოლოგიურ ჰაბში, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტისა (KIU) და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) ერთობლივი პროექტის – ინოვაციებისა და სტარტაპ-აქსელერაციის საზაფხულო სკოლის შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა.**

ღონისძიება გახსნეს ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის აღმასრულებელმა და დირექტორმა და რექტორმა **ვახტანგ ცაგარელმა** და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) თავმჯდომარემ **ავთანდილ კასრაძემ.**

პროგრამის ფარგლებში, KIU-ს სტუდენტებმა მიიღეს ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება სტარტაპის შექმნისა და განვითარების მიმართულებით. ახალგაზრდები რამდენიმე კვირის განმავლობაში ამუშავებდნენ საკუთარ იდეებსა და ინოვაციური პროექტების მოდელებს, რომლებიც პროგრამის დასკვნით ეტაპზე ჟიურის წინაშე წარადგინეს. ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი. ინოვაციების საზაფხულო სკოლა ახალგაზრდებს აძლევს შესაძლებლობას, იდეა რეალურ პროექტად აქციონ და სტარტაპის შექმნისთვის საჭირო პრაქტიკული გამოცდილება მიიღონ.

აღნიშნული საზაფხულო სკოლა, KIU-ს და GITA-ს შორის არსებული თანამშრომლობის ფარგლებში, ყოველწლიურად ხორციელდება. მასში, 2021 წლიდან, KIU-ს 250-ზე მეტი სტუდენტი მონაწილეობდა. პროგრამის მიზანია ახალგაზრდებში ინოვაციური და სამეწარმეო უნარების განვითარება და მათი ჩართულობის გაზრდა საქართველოს სტარტაპ და ინოვაციების ეკოსისტემაში.

# 14 სექტემბერს აბიტურიენტთა მეორადი ჩარიცხვის პროცესი იწყება

**შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 2026 წლის 14 სექტემბრის 11:00 საათიდან 18 სექტემბრის 18:00 საათამდე აბიტურიენტებს შესაძლებლობა ექნებათ, მონაწილეობა მიიღონ ე.წ. მეორადი ჩარიცხვის პროცესში და აირჩიონ მათთვის სასურველი რაოდენობის საგანმანათლებლო პროგრამები.**

ცენტრის განმარტებით, მეორად ჩარიცხვაში მონაწილეობის უფლება აქვს აბიტურიენტს, რომელმაც:

2026 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე თითოეული საგნისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადალახა, თუმცა ჩარიცხვის უფლება ვერ მოიპოვა;

2026 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე თითოეული საგნისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ვერ გადალახა, თუმცა დაძლია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.





# აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გზის ბოლო მონაკვეთი ბათუმი-სარფის მაგისტრალური გზის მშენებლობა იწყება

**საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთის – ბათუმი-სარფის ახალი გზის მშენებლობა იწყება. 11.3 კმ-იანი მაგისტრალური გზის მშენებლობის შესახებ შესაბამის ხელშეკრულებას ხელი მოეწერა.**

ხელშეკრულება საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულ კომპანია China Railway Tunnel Group Co., Ltd-ს (CRTG) შორის გაფორმდა.

**ბათუმი-სარფის ახალი გზა საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური დერეფნის დასავლეთის ბოლო მონაკვეთია. იგი ბათუმის შემოვლით მაგისტრალურ გზას საქართველოსა და თურქეთის სახელმწიფო საზღვართან დააკავშირებს და ქვეყნის გავლით ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება.**

**წითელი ხიდი-თბილისი-სარფის მიმართულება, შავი ზღვის პორტებთან და საქართველოს სახმელეთო საზღვრებთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ სატრანზიტო ქსელში. ბათუმი-სარფის პროექტი ითვალისწინებს 11.3 კმ სიგრძის 2-ზოლიანი მაგისტრალური გზის, 7.6 კმ სიგრძის გვირაბისა და 3 ხიდის მშენებლობას. მათ შორის მოეწყობა 1.47 კმ სიგრძის სახიდე გადასასვლელი. პროექტის ფარგლებში ასევე აშენდება ზღვის ნაპირის დამცავი 500-მეტრიანი ნაგებობა.**

**7.6 კმ სიგრძის ბათუმი-სარფის გვირაბი, ქვეშეთი-კობის 9 კმ-იანი მთავარი გვირაბის შემდეგ, საქართველოში სიგრძით მეორე საავტომობილო გვირაბი იქნება.**

**პროექტის განხორციელების ვადა სამშენებლო სამუშაოების დაწყებიდან 48 თვეა, ხოლო ხელშეკრულების ღირებულება 809 009 547.18 ლარს შეადგენს. პროექტი აზიის განვითარების ბანკის (ADB) სესხისა და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდება.**

**საბჭოურ პერიოდში პრესაში და საერთოდ საინფორმაციო სივრცეში სამეგრელოს ხსენება ტაბუდადებული იყო.** მაგალითად, რადიო-ტელევიზიებში რესპუბლიკურ ეკონომიკურ მიმოხილვას რომ აკეთებდნენ, ასე ჩამოთვლიდნენ ცალკეული რეგიონების მიღწევებს: **კახელმა** მევენახეებმა წელს გარაქიანი რთველი ჩაატარეს, **ქართლელმა** მებაღეებმა ვაშლის რეკორდული მოსავალი აიღეს, **იმერელმა** მესიმინდეებმა ამდენი და ამდენი ტონა სიმინდი მოიწიეს და ამდენი და ამდენი სენაჟი დაამზადეს, ხოლო **ზუგდიდელმა** და **წალენჯიხელმა** მეჩაიეებმა ამდენი და იმდენი პირველხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს, ქიონია სარსანიამ კი რეკორდული რაოდენობის ჩაის ფოთოლი მოკრიფა და იგი სოციალისტური შრომის გმირის წოდებაზეა წარდგენილიო.

კარგად მახსოვს, ვახუშტი კოტეტიშვილი „ხალხური მთქმელების□პოეზიის საღამოებს რომ ატარებდა დიდ საკონცერტო დარბაზებში, რაც ტელევიზიით გადაიცემოდა. ერთი ასეთი საღამოს სატელევიზიო ტრანსლაციას ვუყურე, ზუგდიდის თეატრიდან რომ გადაიცემოდა მთელ საქართველოში. საღამო მეგრულ ხალხურ შემოქმედებას ეძღვნებოდა.

თბილისში ჩატარებულ ხალხურ პოეზიის ნიმუშებს თუ თვითონ ავტორები კითხულობდნენ (მეცხვარეები, მევენახეები, მემინდვრეები, მძღოლები, ტრაქტორისტები, თუ დიასახლისები), ზუგდიდის თეატრის სცენიდან მეგრული ტექსტების თარგმანებს თვითონ ვახუშტი კოტეტიშვილი კითხულობდა. იგი პოეზიის გურმანი იყო და ამიტომ რამდენჯერმე აღნიშნა, ორიგინალში ეს ლექსები ბევრად ლამაზად და საინტერესოდ ჟღერსო. შიგადაშიგ საღამოს ალამაზებდა დიდებული მეგრული ხალხური სიმღერები ადგილობრივი ანსამბლის შესრულებით.

**ოპერატორი ხშირად აჩვენებდა მაყურებლებით სავსე დარბაზს, რომელიც პანაშვიდზე შეკრებილ დამწუხრებულ ადამიანებს ჰგვანდნენ!**

**რა იყო ეს? მეგრული სეპარატიზმის ჰოზია, თუ ქართული „ინდივიდუალური პატრიოტიზმის□სააშკარაოზე გამოჭენება...**

ერთადერთი სეპარატისტული გამოვლინება სამეგრელოში იყო თადა აშორდიას გამოჩენა, რომელიც მეგრელებს დამოუკიდებლობის გამოცხადებისკენ მოუწოდებდა. თადა აშორდიას აქტივობა სერიოზულად არავის მიუღია, ხოლო სამეგრელოს მთავარმა დადიანმა აშორდიას დაჭერა და საჯაროდ გაროზგვა ბრძანა და ამით დამთავრდა „მეგრული სეპარატიზმი□XIX საუკუნის მეორე ნახევრის ერთადერთი სულელური გამოხტომით!

სვანებს რაც შეეხებათ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი საუკუნეთა განმავლობაში დიდი მთებითა და მიუვალი ბილიკებით იყვნენ დაცულნი, არც თავადი ჰყოლიათ და არც მოურავი, ქრისტიანული მრწამსი და ტრადიციები იყო მათი კანონი და სამართალი, ამიტომ არც არასოდეს გაუხედავთ სხვისკენ, ძნელბედობისას ყოველთვის ქართველი მეფეების სამსახურში იდგნენ და სამეფო განძის უერთგულესი მცველები იყვნენ მუდამ!

**აი, ასეთია ქართული „ინდივიდუალური პატრიოტიზმის□ ანატომია, რაც ქართველების ეგოცენტრიზმით არის ნასაზრდოები. ამიტომ თქვა, ალბათ, დიდმა გერმანელმა მოაზროვნემ ჰანს მაგნუს ენცენბერგერ-**

დასასრული, დასაწყისი იხილეთ: „სრ“ №121-122




# ერთიანი ეთნოფსიქიკა და სეპარატიზმი საქართველოში

## ქართული პატრიოტიზმის პარადოქსები

**მა: „ქართველები უძველესი ცივილიზაციისა და კულტურის ერია, ისინი ევროპელებზე ბევრად ადრეულ ეპოქაში ფლობდნენ იმ ცოდნას, რაც ევროპელებმა ათეული საუკუნეების შემდეგ გაიცნეს, მაგრამ ქართველები სახელმწიფოებრივი ერი არ არის, ის კულტურის ერია□**

პირველად ეს შეფასება, ცნობილმა მეცნიერმა დავით თევზაძემ (ამავე გვარ-სახელის დავით თევზაძის მამამ!) გამაცნო, რამაც აღმაშფოთა და ვუთხარი კიდეც, თქვენც ასე ფიქრობთ-მეთქი? მაგაზე პასუხს მერე გაგცემო, ზურაბ, მანამდე შენ როგორც ისტორიკოსმა კიდევ ერთხელ გადახედეო ჩვენს ისტორიას. აცხონა ღმერთმა, უაღრესად გონიერი კაცი იყო ის დავით თევზაძე, მსოფლმხედველობრივი კონცეფცია შემიცვალა მისმა ამ მამაშვილურმა რჩევამ.

**ახლა ორ ისტორიულ ფაქტს გაგახსენებთ და შეფასებები და ორიენტაციები თქვენთვის მომინდვია, მკითხველო!**

როდესაც მონღოლ-თათართა ურდოები შემოესივნენ საქართველოს, ბოლო ბრძოლა სურამის ქედთან, სოფელ შინდარის მიდამოებში გაიმართა, სადაც ქართველები სასტიკად დავმარცხდით. მონღოლები დასავლეთ საქართველოში არ გადასულან, ალბათ მათი სტრატეგიული ინტერესების შესაბამისად. ისე რომ, დასავლეთ საქართველო მონღოლ-თათართა გავლენის ქვეშ არ მოქცეულა. ქართველთა არისტოკრატიის ერთი ნაწილი დამარცხებას არ შეეგუა და აჯანყება განიზრახა. ამ მიზნით შეთქმულება ჩაიფიქრეს, რომელიც წაღვლისთავის შეთქმულების სახელით არის ცნობილი. წაღვლი ისტორიული სოფელია ხაშურის რაიონში, სურამთან ახლოს, იქ სადაც შინდარის ბრძოლა გაიმართა. შეთქმულებაში სხვებთან ერთად სამეგრელოს სამთავროს პრინცი ცოტნე დადიანიც მონაწილეობდა. იგი თავის მამულში დაბრუნებულიც კი არ იყო, როდესაც ამბავი დააწიეს: შეთქმულების ყველა მონაწილე დაატყვევეს და საწამებლად მზის გულზე დაყარეს ზურგზე თაფლწასმულებიო. ცოტნე დადიანი მაშინვე უკან გაბრუნდა, დატყვევებულებთან მივიდა, წელსზევით გაშიშვლდა და ზურგზე თაფლწასმული გვერდით მიუწვა შეთქმულების მონაწილეებს.

ამის შემხედვარე მონღოლები გაოცდნენ და ჰკითხეს ცოტნეს: რატომ სჩადიხარო ამას? მეც ამათთან ერთად ვიყავი წაღვლისთავის სერობაში, აჯანყება გულშიც არ გაგვივლია, მეგობრული შეხვედრა იყო ეს! და თუ ესენი ღალატში არიან დადანაშაულებულები, მეც მათთან ერთად დამსაჯეთო მაშინ!

მონღოლთა ნოინმა ყველა მსჯავრდებული გაათავისუფლა!

დღევანდელი ისტორიკოსების ერთი ნაწილი ასე ხსნის ამას: ცოტნე დადიანმა თავისი თავდადებით მონღოლები მოატყუაო. ვავა-ვავა, ჩქიმ ცოდა, მონღოლები რომ ასეთი გულუბრყვილოები ყოფილიყვნენ, ნახევარ მსოფლიოს კი ვერ დაიპყრობდნენ და ათობით ერის ისტორიას კი ვერ შეცვლიდნენ. აქ მე კომენტარს არ გავაკეთებ, მხოლოდ შოთა ნიშნიანიძის ლექსის ფრაგმენტს მოვიხმობ...

**„ცოტნე გმირია, რა თქმა უნდა**
**გმირია, ცოტნე,**
**მაგრამ, არ დაგვავიწყდეს**
**სახედაღრეჯილი გმირი მონღოლიც,**
**მამაცობის და თავდადების**
**უბადლო მცოდნე!..□**

**მეორე ისტორიული ფაქტი:**

კრწანისის ბრძოლაში მეფე ერეკლეს ხუთი ათასი მეომარი ჰყავდა აღა-მაჰმად ხანის თხუთმეტი ათასი მეომრის წინააღმდეგ. მეფეს, მისმა შვილმა გიორგიმ, რომელიც იმ დროს კახეთს განაგებდა, კახელთა ჯარი არ მოაშველა მამა-მეფეს. უკიდურეს გაჭირვებაში მყოფმა ერეკლემ მალემსრბოლელი აფრინა კახეთში, ჯარი მომაშველოსო გიორგი უფლისწულმა. ამ დროს მეფის ძე გიორგი სიღნაღში ქეიფობდა და მალემსრბოლელი როდესაც ეახლა და მეფის ბრძანება გადასცა, უფლისწულმა უბრძანა სუფრასთან დამჯდარიყო და „ბრძნულად□დამოძღვრა: ბრძოლა ქართლშია, კახეთში კი არაო, აქ დაჯექი და ჩვენთან ერთად მოილხინეო!

ა, ბატონო „ინდივიდუალური პატრიოტიზმის□კლასიკური ნიმუში!

მეფე ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ ეს „ზაქიჭამია□უფლისწული გიორგი XII-ის ტიტულით ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე დაჯდა.

მერე რაც იყო ყველამ უნდა იცოდეს, წესით, მაგრამ ვინც არ იცის, იმათთვის არაერთი წერილი მაქვს გამოქვეყნებული.

**ახლა რაც ხდება ყველა ხედავს, ვისაც „თვალი აქვს და ყურნი ასხნია□ საააკაშვილზე ვერ ვიტყვი, მაგრამ ხოშტარია იქნება თუ გახარია, ხაზეიშვილი თუ გვარამია, სამადაშვილი თუ არახამია, ბურჭულაძე (ბანი) თუ ახალაია (კრინი), ისინიც თავისებური, ანუ ინდივიდუალური „პატრიოტები□არიან, რომლებსაც ერთიანი საქართველოს იდეა, თავიანთ მოკლე ჭკუაში, მათი პიროვნული პრესტიჟის დაკმაყოფილების მოთხოვნილებას უკავშირდება მხოლოდ. ამ მოთხოვნილებას ევროპელები დააკმაყოფილებენ, თუ ამერიკელები, ამას მნიშვნელობა არა აქვს, ისევე როგორც სააკაშვილისათვის ბუში რას იტყოდა მასზე, ის იყო მთავარი, თორემ ბუშის მიერ „დემოკრატიის შუქურად□მონათლულ „ვარსკვლავბიჭუნას□აუღელვებლად შეეძლო, ჩაეცხრილა ქუჩებში ძალიან ცნობილი და ნაკლებად ცნობილი ახალგაზრდები, თუ ზრდასრულები.**

აი, ეს არის რეალობა, თანაც ჩვენი ისტორიული თვისება. ღვთის ნებით, ჩვენში იბადებოდნენ ქართველთაგან არსებითად განსხვავებული ქართველები – გორგასლები და ხანძთელები, რუსთაველები და აღმაშენებლები, დემეტრე თავდადებულები და გიორგი ბრწყინვალენი, გურამიშვილები, ბარათაშვილები, ილია ჭავჭავაძენი და იოსებ ჯუღაშვილები... და ამიტომ მოვაღწიეთ დღემდე!

**„საქართველომ დღემდე მოაღწია ციხით, მაგრამ დღეის შემდეგ, დღეის ამას იქით?□**
**არც მე ვიცი, დიდო პოეტო!**

**ზურაბ ცუცქირიძე,**
განათლების მეცნიერებათა დოქტორი
ტელ: 555 56-75-37

# ფესვებს მივხედოთ, ძმობის ფესვებს, აფხაზებო და ოსებო!

## ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხების თანაცხოვრების ისტორიიდან

**ოსურში ნატვრისთვალს „თხოვნის მძივი“ („ციქურაი ფარდიგ“) ეწოდება. ჰოდა, ჩამოსახლდნენ თუ არა ოსები საქართველოში, კი არ ნატრულობენ, თხოულობენ და ქართველებიც ყველაფერს უსრულებენ: – ოლქის სტატუსი? – ინებეთ! – ცხინვალი დედაქალაქად? – კი, ბატონო! და ამას მოჰყვა პედაგოგიური და კვლევითი ინსტიტუტები, თავისი ბეჭდვითი ორგანოებით, სამედიცინო და სამხატვრო სასწავლებლები, თეატრები, ანსამბლები, უმაღლესში შესასვლელი ლიმიტები, ასპირანტურები, დისერტაციები, ხარისხები, წოდებები.**

– ყველა ოცნება აუსრულდა ჩემს ხალხს, რა სითბო და სიყვარული იფრქვეოდა მათგან ქართველების მიმართ; როგორ ამიჩუყდა გული სიხარულისგან, როცა ასტაფიევის ვერაგობით განაწყენებულმა ქართველებმა მოსკოვის თავყრილობაზე დარბაზი დატოვეს და რა ერთგულად აუბეს მხარი მათ ოსმა მწერლებმა. ეს ხომ ცოტა ხნის წინ იყო?!

ეხლა რაღა მოგდით, ჩემო თანამემამულენო: ვინმემ თუ თვალზე ლიბრი აგიკრათ, მეხსიერების ძაფი რაღამ გაგიწყვიტათ? როგორ აჰყევით უმეცართა და ბეცთა ამბიციებს? თქვენ მოგმართავთ ჩემო ყოფილნო მოწაფენო, მაძიებლებო და დისერტაციადაცულებო: გაბარაევო კოლია, ტეხოვო ჩერმენ, ხუგაევო ილია, ფილიევო გაცირ, მედოევო ბობოლკა, ჯიოევო ჟენია, ფილიევო მუსა, ჯაბიევო ზაურბეგ, ჯუსოევო კლავა, ბიაზიროვო ალექსანდრე, ცხოვრებოვო ვალიკო, ვანიევო ვლადიმერ, თედეევო გერა, ქალო ევოდინა, ფუხაევო ლარისა, ცხოვრებოვო ლიზავ, ხედავთ, რამდენი ხართ? თქვენ ხომ ოსების ინტელიგენციის უმრავლესობა ხართ? მე ხომ გიცნობთ ყველას კარგად, მე ხომ ვიცი, რომ თქვენ ბევრი რამ შეგიძლიათ ხალხის დასაწყნარებლად, სამართლიანობის აღსადგენად, ვიგინდარათა თარეშის აღსაკვეთად, რას გაჩუმებულხართ? სიჩუმე ხომ იგივე ღალატია!..

საოცარია პირდაპირ... რომ იმ ხალხის მიწა-წყალი, რომელმაც შეგიხიზნა, შეგივრდომა, გაასხვისო და ისედაც უკიდეგანო რუსეთს ნობათად მიართვა.

1988 წლის დასაწყისში ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ოსი ინტელიგენციის ერთი ნაწილის მიერ ყალიბდება პოლიტიკური ორგანიზაცია „ადამონ ნიხასი“, რომელმაც ოფიციალური რეგისტრაცია 1989 წლის ივნისში გაიარა. ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა დოცენტი ალან ჩოჩიევი. ორგანიზაციამ გააძლიერა სეპარატისტული, ანტიქართული მოძრაობა ოლქში, ისინი ლაპარაკობდნენ საქართველოში მცხოვრები მთელი ოსების სახელით. მოითხოვდნენ ოლქის რესპუბლიკად გარდაქმნას. როდესაც ოლქში 6500 ოსი ცხოვრობდა, ხოლო მის ფარგლებს გარეთ, უმეტესად საქართველოს ისტორიულ პროვინციებში – ქართლსა და კახეთში 100000. „ადამონ ნიხასის“ წევრები თამაშობდნენ ეროვნულ გრძნობებზე – ოსურ ენას გვართმევენ და გვჩაგრავენო. ყოველივე ამას აქტიურად უჭერდა მხარს საკავშირო პრესა და ტელევიზია. თუ როგორ ართმევდნენ მშობლიურ ენას ოსებს და ჩაგრავდნენ, ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, აქ კი აღვნიშნავ, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ოსები აღშფოთებული იყვნენ და პროტესტს გამოთქვამდნენ „ადამონ ნიხასის“ მიმართ საქართველოში მცხოვრები მთელი ოსების სახელით. ამ პერიოდში ოსი დავით ბედოშვილი თავის თანამემამულეებს მოუწოდებს, დაფიქრდნენ და გაუფრთხილდნენ მომავალს:

**„ოსურ ენას გვართმევენო(?!) საქართველოში, არასოდეს ენას არავის არ ართმევდნენ და, ცხადია, დღესაც არავის უთქვამს ამის თაობაზე რაიმე. აქ სწორედ უნდა გავიგოთ, რომ ქართული სახელმწიფო ენაა და საქართველოს ტერიტორიაზე, ოსი იქნება, თუ სხვა ეროვნების მოქალაქე უნდა იცოდეს ქართული. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მას ვინმე უკრძალავს მშობლიურ ენაზე ლაპარაკს.**

**მოდით და ღმერთს შევხედოთ, ქართველი კაცი „სამხრეთ ოსეთში“ ოსს სხვა ენაზე რატომ უნდა ელაპარაკოს, ან ოსი ქართველს?** – ამ სტრიქონების ავტორი ოსი დავით ბედოშვილია, რომელიც აღნიშნავს – **რომ დიდ შეურაცხოფად მივიღებდი, ქართველმა ქართულად რომ არ მომმართოს, ან პირიქით, ქართველ კაცს სხვა ენაზე ვესაუბრო, თუ არა ქართულად.**

**მე ძალიან ამაღელვა ვითომ ოსი ხალხის მიმართვამ, რომელსაც „ადამონ ნიხასი“ აწერს ხელს და მისმა გამრუდებულმა შინაარსმა, განსჯისა და თქმის უფლება ყველას აქვს, მაგრამ ეს ხომ არ აძლევს უფლებას – ილაპარაკოს მთელი ერის სახელით?**

**მოდით ცხინვალელო თანამემამულეებო, გონიერებას მოვუხმოთ, კარგად დავფიქრდეთ, უკანაც გავიხედოთ და წინაც და ისევ ვიმსჯელოთ. თქვენ „ადამონ ნიხასის“ მიმდევრების მცირე ჯგუფი, რა უფლებით გამოდიხართ ქართლისა და კახეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ოსების სახელით?..**

**ჩემო მოძმენო, საქართველოში ოსები საუკუნეებია, ცხოვრობენ. ჩვენ ხომ მაშინაც, წარსულ საუკუნეებში, ძმურად ვცხოვრობდით. როგორ ფიქრობთ, მაშინ ოსები ქართველებს რა ენაზე ელაპარაკებოდნენ? ცხადია, ქართულად.**

**მაშ, რაშია საქმე, ვინ მოგვცა უფლება, შევურაცხყოთ ღირსეული წინაპრები, მათი ბრძნული ურთიერთობა...**

**ოდითგან ოსი კაცი ქართველს ქართულად მიმართავდა და სხვანაირად წარმოუდგენელიცაა. ცხოვრობდე ქართველებში, ერთმანეთთან საურთიერთო ენა გქონდეს რუსული! მკითხველმა სხვანაირად არ ჩამომართვას, თითქოს რუსული ენის წინააღმდეგი ვიყო. არა, რუსული ენა ყველამ უნდა ვიცოდეთ. ეს ჩვენი რესპუბლიკის გარეთ მცხოვრებ სხვადასხვა ერებთან დამაკავშირებელი დიდი და მდიდარი ენაა.**

**ვიყოთ გულწრფელნი. ვიფიქროთ მომავალზე. გავიხედოთ წინ.**

**ქართლსა და კახეთში ქართველები და ოსები სატირალს ერთად ტირიან, ლხინს ერთად დღესასწაულობენ, ერთ სალოცავში ლოცულობენ, ღმერთს ქართულ ენაზე ევედრებიან...**

**განა ქართველებს არა აქვთ იმის უფლება, გვითხრან გინდა ბატონო ჩრდილოეთი? მიბრძანდი! – სულ რაღაც 5-კილომეტრიანი გვირაბია გასავლელიო.**

**გაიგეთ, ქართველები ამას არ გვეუბნებიან. ქართველმა კაცმა იცის, რომ ისტორიულად ოსი მისი მეზობელი და მეგობარია, მოჭირნახულეა. ქართველებმა ისიც კარგად იციან, რომ თვითონ ოსები გასცემენ მკაცრ პასუხს მათ, ვინც ჩვენი ორი ერის საუკუნოვან მეგობრობას შეურაცხყოფს. ოსები და ქართველები ერთნი ვიყავით და ერთნი უნდა ვიყოთ. ეს ორივე ერს ჭირდება. ეს ჭირდება ჩვენს შვილებს, მათ მომავალს. გამოვიჩინოთ გონიერება, ერთხელ და სამუდამოდ დავიმკვიდროთ მტკიცე მეგობრობა.**

**ქართველები და ოსები, მართლაც, ერთ სალოცავში ვლოცულობდით, ჭირსა და ლხინს ერთმანეთში ვიზიარებდით, გასაყოფი არაფერი გვქონდა. ახლა კი ხელოვნურად ვაგებთ კედელს ერთმანეთს შორის, მაშინ როდესაც ასეთი კედლები ჩვენს თვალწინ დაინგრა და ინგრევა.“**

განსაკუთრებით შეშფოთებას გამოთქვამდნენ შერეული, ქართულ-ოსური ოჯახების წარმომადგენლები. ასეთები კი ათიათასობით იყო. გაძლიერებული ანტიქართული პროპაგანდის გამო შერეული ოჯახების ნაწილი დაინგრა და გაუბედურდა. შერეული ოჯახის წარმომადგენლები, თუ ასე გაგრძელდებოდა, წინასწარ გრძნობდნენ მოსალოდნელ დიდ საფრთხეს და გონიერებისაკენ მოუწოდებდნენ ოს სეპარატისტებს. „ადამონ ნიხასის“ წევრებს, რომელთა კისერზე მნიშვნელოვანწილადაა ის ტრაგედია, რაც ყოფილ ოლქში და მთელ საქართველოშიც დატრიალდა. ერთ-ერთი ოსი არსებული მდგომარეობით შეძრწუნებული აცხადებდა:

**„ღმერთმა არ ქნას, გვაჯობოს ეშმაკმა და დავერიოთ ერთმანეთს... სასროლეთში ვინ ავირჩიოთ მიზნად... ჩემი ქართველი დედა, თუ... ჩემი ოსი შვილები“.**

მართლაც, შინაგანი გრძნობითაა ნაკარნახევი **ზეინაბ ხარებოვას** სიტყვები: **„მე, მამით ოსი, დედით ქართველი, დავიბადე და გავიზარდე შუა ქართლის ერთ ლამაზ, პატარა, ქართულ სოფელში. ჩემს სოფელში მხოლოდ მამაჩემი იყო ოსი. ჩვენ ვცხოვრობდით დედის მშობლებთან. მამაჩემი ბავშვობიდან ობოლი იყო. იგი ბიძასთან იზრდებოდა და როცა დაოჯახდა, დაქირავებულ ბინაში დაუწყია ცხოვრება, ჩემს ბებიას და პაპას შეცოდებიათ. წაუყვანიათ სიძე-ქალიშვილი თავიანთთან, მიუციათ სახლიც და ნაკვეთიც, მიუღიათ როგორც საკუთარი შვილი და ასე ვცხოვრობდით ქართულ სოფელში...**

**ეროვნებით ოსს სულაც არ მიშლის ხელს, ვცხოვრობდე საქართველოში... როგორ უნდა შეუერთდნენ ჩრდილო ოსეთს, ჩვენზე თუ უფიქრიათ იმ „ვაი ოსებს?..“ ჩვენ დაგვანებეთ თავი, ჩვენ მაგივრად ნუ ლაპარაკობთ, თქვენ აზრებს ყველა ოსს ნუ ახვევთ თავს. ჩვენ არავისთან შეერთებას არ ვითხოვთ.“**

უკვე ოცი წელია, გრძელდება ქართველებსა და ოსებს შორის დაპირისპირება, რომელიც სისხლიან შეტაკებებსა და ომებშიც გადაიზარდა. ინტელიგენციის მართალია მცირე, მაგრამ გარკვეულმა ნაწილმა ვერ გაუძლო იდეოლოგიურ წნეხს, ან, უკეთეს შემთხვევაში, მთელი სისრულით ვერ აღიქვა შექმნილი მძიმე ვითარება, ისტორიული რეალობა და სეპარატისტთა ბანაკში გადაბარგდა. პროფესორი **იოსებ მეგრელიძე** იგონებს: **„მაგონდება, თბილისში მცხოვრებმა ელიოზ ჯიოევმა ცხინვალში როგორ ჩამოიყვანა აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე. ქალაქის თეატრში მათთან გამართული შეხვედრის შემდეგ ელიოზმა მათ უმასპინძლა თავის სოფელში ხოდში, ერთი ახლობლის ოჯახში. სადღეგრძელოებში ქართველებსა და ოსებზე დაიწყეს ლაპარაკი. ოჯახის უფროსმა, გლეხმა ოსმა თქვა: მე ცოლი ქართველი მყავს, ოსებს ამრავლებს: ჩემი და ქართველის ცოლია, ქართველებს ამრავლებს, ერთნი ვართ. თქვენ – ინტელიგენტები ნუ გვთიშავთო!“** ამ ნათქვამში უდავოდ არის სიმართლის მარცვალი.

სწორედ ქართველებმა და ოსებმა უნდა გადავარჩინოთ ჩვენი წარსულით, ჩვენი წინაპრების მეცადინეობით მოპოვებული ერთობა, სიყვარული, სულიერი სიახლოვე და ჩვენი მომავალი ცხოვრების შენობაც ამ გრძნობით – მეგობრობითა და ძმობით ავამაღლოთ.

**უკანასკნელმა წლებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მტრობას, სისხლისღვრას, ერთმანეთის ინტერესების უგულებელყოფას სიკეთე არასოდეს და არავისთვის მოუტანია. რა თქმა უნდა, დაპირისპირება სიკეთეს არ მოუტანს არც ქართველებს, არც აფხაზებს და არც ოსებს, რომლებთანაც ჩვენ მჭიდროდ გვაკავშირებს საერთო ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, მატერიალური და სულიერი კულტურა და, რაც მთავარია, სისხლისმიერი ნათესაობა. საოყველთაოდ ცნობილია, რომ თბილისში ყველაზე ხშირი იყო ქართულ-ოსური ქორწინებები. ასეთი ქორწინებების შედეგად შექმნილი ოჯახები, როგორც წესი, თანაბრად ეფუძნება ქართულ, აფხაზურ და ოსურ კულტურას. ცხადზე უცხადესია, რომ დაპირისპირება არ შედის ჩვენი მოძმე ხალხების არც პოლიტიკურ, არც ეკონომიკურ და არც კულტურულ ინტერესებში.**



**ანზორ თოთაძე,**
პროფესორი.

(გაგრძელება იქნება)



„ადამონ ნიხასის“ წევრები თამაშობდნენ ეროვნულ გრძნობებზე — ოსურ ენას გვართმევენ და გვჩაგრავენო.



უკანასკნელმა წლებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მტრობას, სისხლისღვრას, ერთმანეთის ინტერესების უგულებელყოფას სიკეთე არასოდეს და არავისთვის მოუტანია.

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ:
„სრ“ №113-114, 115-116, 117-118, 119-120, 121-122

**მინდა, ქართველი საზოგადოების ყურადღება კიდევ ერთხელ მივაქციო ერთ საკმაოდ მტკივნეულ პრობლემას, რაზეც თვით მერიის უმაღლესი ჩინებიც დღემდე ლაპარაკობენ, მაგრამ გამოსავლის მოძებნაზე არავინ ფიქრობს — საავტომობილო ჯარიმები.**




# მეწველი ძროხები თბილისის ქუჩებში

**თბილისში, ორი უწყებისგან შეიძლება დაჯარიმდეთ — საპატრულო პოლიცია (ვიდეოჯარიმების ჩათვლით) და თბილისის მერია. ხშირად საპატრულო პოლიციის არაკომპეტენტურობის, ან განზრახი არაობიექტურობის გამო იღებენ არასწორ გადაწყვეტილებას. ვიდეოკამერაც ხშირად სწორად ვერ წარმოაჩენს ქმედების ხასიათს, განზრახვასა თუ მძღოლის იძულებით მანევრს. კანონის თანახმად, ჯარიმა საჩივრდება საპატრულო პოლიციაში. საჩივარს იხილავს უფლებამოსილი თანამდებობის პირი. თუმცა, როდესაც ასეთი საჩივრების რაოდენობა ყოველდღიურად მრავალ ათეულს აჭარბებს, ირთვება ჩვეულებრივი რუტინა და იწერება ტიპური პასუხი საჩივარზე — უარი! ასე გრძელდება წლიდან წლამდე.**

სასამართლოს □ჩაგრულთა□მცირე ნაწილი მიმართავს. თუმცა, ყოველდღიური ტოტალური საჯარიმო ტერორის პირობებში საქალაქო სასამართლოში ათიათასობით განუხილველი სარჩელი დაგროვდა. იგივე ვითარებაა ქალაქის მერიაშიც!

მაგალითად, მე დავჯარიმდი (ვიდეოჯარიმა!) ველობილიკზე შესვლის გამო. ჯარიმა გავასაჩივრე მერიაში. მოტივი — იძულებითი მანევრი გზის ჩახერგვის თავიდან ასაცილებლად!

პასუხად მივიღე ფორმალისტური ტექსტი, რომ თურმე დავჯარიმდი ადმინისტრაციული კოდექსის ამა და ამ მუხლით! ანუ ჩემი საჩივარი არავის წაუკითხავს!

ვიკითხე, შეიძლებოდა თუ არა დოკუმენტზე ხელმომწერ ჩინოვნიკთან შეხვედრა. მიპასუხეს, რომ ამისთვის უნდა დამეწერა განცხადება და პასუხს ათი სამუშაო დღის განმავლობაში შემატყობინებდნენ.

არც ათი და არც ოცდაათი დღის შემდეგ არავის არაფერი შეუტყობინებია! რამდენიმე შეხსენების შემდეგ მომივიდა მესიჯი — მიგარებდნენ ცაბაძის ქუჩაზე მდებარე მერიის □კონსპირაციულ□ოფისში!

მივედი! დამხვდა 20-22 წლის სიმპათიური გოგონა, რომელმაც მონიტორი გახსნა და მაჩვენა ვიდეოკამერით გადაღებული ჩემი მანქანისა და იმ სატვირთოს ფოტო, რომლის გასატარებლად და ავარიული სიტუაციის თავიდან ასაცილებლად იძულებული ვიყავი, ველობილიკის □წმინდა ხაზი□გადამეკვეთა.

გაგიკვირდებათ და, როგორც გაირკვა, ჩემი გამოძახების ერთადერთი მიზანი სწორედ ეს იყო!

ვისაც თბილისის საქალაქო სასამართლოსთან შეხება ჰქონია, მან იცის, რომ განსახილველი საქმეები წლობითაა შემოდებული თაროებზე. საინტერესოა, რომ □ჩაწოლილ□საქმეთა უმეტესობა ადმინისტრაციული საჩივრებია, რაც პირდაპირ მიუთითებს მასშტაბურ კონფლიქტზე სახელმწიფო სტრუქტურებსა და მოქალაქეებს შორის.

ასეთი ვითარების მიზეზების დასადგენად, მივმართე საქალაქო სასამართლოს და შსს საპატრულო პოლიციის ცენტრალურ ოფისს. სწორედ აქ დაიწყო ისტორია, რომელმაც გამოამზეურა უამრავი სიმახინჯე, ფორმალიზმი და ჩინოვნიკთა ერთი ნაწილის უაღრესად დაბალი კვალიფიკაცია. საქალაქო სასამართლოსგან გამოვითხოვე ინფორმაცია, თუ რამდენი განუხილველი ადმინისტრაციული საქმე (სასარჩელო განცხადება) არის დაგროვებული თბილისის საქალაქო სასამართლოში.

პასუხმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა:

**□..გაცნობებთ, რომ მოთხოვნილი სახით ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავება და საჯარო მონაცემთა ბაზაში განთავსება თბილისის საქალაქო სასამართლოში არ ხორციელდება. ამასთან, ინფორმაციის მოცულობის გამო, მათი მოძიება-დამუშავება საჭიროებს დიდ დროსა და სასამართლოს რესურს, რის გამოც მოკლებული ვართ თქვენი თხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება შეგიძლიათ გაასაჩივროთ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში...**

პასუხს ხელს აწერდა ბატონი **ავთანდილ წამალაშვილი** — უფროსი კონსულტანტი, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. პირველი, რაც ამ პასუხიდან ამოვიკითხე, გახლავთ ის, რომ თაროზე შემოდებული საქმეების რაოდენობა თუ რამდენიმე ათასი მეგონა — მწარედ ვცდებოდი! ასეთი საქმეების რაოდენობა შეიძლება ათიათასობით იყოს, რადგან, თურმე, □**მათი მოძიება-დამუშავება საჭიროებს დიდ დროსა და სასამართლოს რესურსს□!** ამასთან, თურმე, ინფორმაცია სახელმწიფო სტრუქტურების სრული კომპიუტერიზაციის შესახებ ბლეფია, რადგან ასეთი რამ თვით თბილისის საქალაქო სასამართლოსაც არ ღირსებია!

იმედია, თავადაც დაინახეთ, რომ საქალაქო სასამართლოს ცინიკოსი უფროსი კონსულტანტი წამალაშვილი თაროზე შემოდებული საქმეების რაოდენობის დასაფარად მთავაზობს **მორიგი საჩივრის შეთხზვას ასევე — თაროზე შემოსადებად!** სწორედ ეს მათქმევინებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში სერიოზული პრობლემებია, რაც უზენაესი სასამართლოს და ცენტრალური ხელისუფლების თავის ტკივილიც უნდა იყოს!

კანონით დადგენილი ათდღიანი ვადის მაგივრად, ამ ინფორმაციის მისაღებად სასამართლოში მისვლა ერთი თვის შემდეგაც დამჭირდა. გაირკვა, რომ **თურმე, ჩემი მცირე განცხადება თავად სასამართლოს თავმჯდომარის მაგიდაზე იდო!** ეს ფაქტი პირდაპირ მიუთითებს, რომ ხელი საქალაქო სასამართლოსთვის როგორ მტკივნეულ ადგილზე მომიხვდა. ძნელი მისახვედრი სულაც არ არის, რომ პასუხი შეთანხმებულია სასამართლოს თავმჯდომარესთან, რომელიც თავისი უწყების პრესტიჟის გადარჩენას ცდილობს.

პარალელურად, რამდენიმე კითხვით საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსაც მივმართე. ვცდილობდი, გამერკვია, საპატრულო პოლიციის რამდენი ჯარიმაა გასაჩივრებული (ვიდეოჯარიმების ჩათვლით) სასამართლოში, როგორია თავად საპატრულო პოლიციაში გასაჩივრებული აქტების განხილვის პროცედურა, როგორია მოქალაქეთა მიღების პროცედურა საპატრულო პოლიციის თანამდებობის პირებთან, რამდენი მოქალაქე მიიღეს ამ უწყების ჩინოვნიკებმა შარშან ან წელს და ა. შ.

საპატრულო პოლიციიდანაც მრავლისმთქმელი პასუხი მივიღე:

**□..საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის, მოადგილეების მოქალაქეებთან შეხვედრის რაოდენობის შესახებ, ინფორმაციის სტატისტიკურ დამუშავებასა და შენახვას დეპარტამენტი არ ახორციელებს... რაც შეეხება დეპარტამენტის დირექტორის, მოადგილეების მოქალაქეებთან შეხვედრის საკითხს, გაცნობებთ, რომ დეპარტამენტი ყოველდღიურ რეჟიმში, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, დილის 9.00 საათიდან საღამოს 18.00 საათამდე და შაბათს დილის 09.00 საათიდან დღის 14.00 საათამდე იღებს მოქალაქეებს, კონსულტაციას უწევს და არეგისტრირებს მათ განცხადებებსა და საჩივრებს, რომელთა ეფექტური განხილვა-გადაწყვეტა ხორციელდება მოქმედი კანონის შესაბამისად, უფლებამოსილი თანამდებობის პირების ჩართულობით.□**

თბილისის მოქალაქეების სიცილი უკვე მესმის, მაგრამ ამ პასუხზე ხელისმომწერ ქალბატონ **ანა არახამიას,** ეტყობა, უფროსობის ნაკარნახევი ეს პასაჟი სასაცილოდ არ ეჩვენება! აღსანიშნავია, საპატრულოს ჩინოვნიკები (და არა მხოლოდ ისინი!) როცა რაიმე ინფორმაციის დაფარვას ცდილობენ, აუცილებლად უთითებენ შსს სამინისტროს ვებ-გვერდზე!

**საპატრულოს მესვეურებმა უნდა იცოდნენ, რომ სახელმწიფო ჩინოვნიკს დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემისგან არც ერთი □ვებგვერდი□არ ათავისუფლებს, რადგან საჭიროების შემთხვევაში, ვებგვერდის მონაცემთა გასაჩივრება შეუძლებელია, ხოლო სახელმწიფო ჩინოვნიკის ხელმოწერილ დოკუმენტს იურიდიული ძალა აქვს!**

მიუხედავად მითითებული სტრუქტურების ჩინოვნიკთა მცდელობისა, ზოგი ინფორმაციის მოპოვება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება მაინც მოვახერხე. თბილისის საქალაქო სასამართლოში წლობით განუხილველი საქმეების (ადმინისტრაციული სარჩელები!) აბსოლუტური უმრავლესობა მოდის თბილისის მერიისა და საპატრულო პოლიციის საავტომობილო ჯარიმებზე. ორივე უწყებაში, მოქალაქეთა საჩივრების განხილვას სრულიად ფორმალური ხასიათი აქვს.

**პრობლემა მხოლოდ რომელიმე სისტემის გაუმართავ მუშაობას რომ ეხებოდეს, შეიძლება თავი დიდად არ შეგვეწუხებინა, მაგრამ საქმე სახელმწიფოს მდგრადობას, მის ყოფნა-არყოფნას ეხება. სამწუხაროდ, ამას პირველი პირები ვერ ხედავენ და, შესაბამისად, არც მის გამოს-**

SOS!

საქართველოს რესპუბლიკა

**წორეგას ცდილოგენ. თბილისის მერია უხეშად იჭრება საპატრულო პოლიციის (ანუ შს სამინისტროს) ფუნქციებში, რადგან საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებული ყველა რეგულაცია პირდაპირ ეხება მხოლოდ და მხოლოდ საპატრულო პოლიციას და სხვას არავის!**

## ისევ „ორი სათაურის“ პრობლემა!

**თბილისში, საავტომობილო გზებზე განთავსებული ავტოსადგომებიც უნდა კონტროლდებოდეს საპატრულო პოლიციის მიერ, რადგან პარკირების პროცედურა რეგულირდება სწორედ საგზაო მოძრაობის წესებით და კონტროლდება პატრულის მიერ.**

თბილისის ქუჩებში ორი ტიპის ფასიანი ავტოსადგომია – ზონალური და ვადიანი. პირველ შემთხვევაში, მოქალაქე იხდის სპეციალური აპლიკაციით საათში 1 ლარს, ხოლო მეორე შემთხვევაში – თვეში 50 ლარს. მერიას აქაც ხაფანგი აქვს დაგებული: თუ ზონალური აპლიკაციის მფლობელი შევიდა ვადიანში, ვიდრე გაარკვევს, როგორ გადაიხადოს ქირა, უკვე დაჯარიმებულია 50 ლარით, ანუ ვადიანი სადგომის ერთი თვის ქირით. ვადიანის ზონალურში შესვლაც იგივე სანქციას ექვემდებარება... ანუ ბრიყვი ძროხები ისევ მოწველეს! და, რა თქმა უნდა, ისევ გინება თბილისის მერიის მისამართით და ისევ აგრესიულად განწყობილი მოქალაქეების მომრავლება!

პრობლემა ისაა, რომ მერიის სქემით „ელიტურ“ უბნებში მოწყობილია ზონალური პარკირებები, „გეტოებში“ (მაგ. „აფრიკაში“, ნაძალადევში...) კი – ვადიანი! არადა, შესაძლოა, ყველაფერი იოლად დალაგდეს: ყველა სადგომი გადავაქციოთ ზონალურად და იქ ავტომობილების პარკირების უფლება ვადიანი სახდელების მსურველებსაც მივცეთ!

მაგრამ ასეთ შემთხვევაში, მერიის ჩინოვნიკები დამატებით შემოსავლებს დაკარგავენ და, რაც მთავარია, აგრესიული მუხტი ხელისუფლების წინააღმდეგ ცოტათი შენელდება!

**თუ მოძრაობის წესებს გადახედავთ, იოლად აღმოაჩენთ, რომ „ბასლაინთან“ დაკავშირებული წესები აზიანებს საკანონმდებლო ნორმებს და უხეშად არღვევს კონსტიტუციით დაცულ ადამიანთა თანასწორობის და სიცოცხლის უფლებას!**

მერიამ დაადგინა, რომ „ბასლაინზე“ მოძრაობის უფლება აქვს მხოლოდ თეთრი ფერის ტაქსს, რომლის ასაკი არ აღემატება 10 წელს. ამასთან, „ბასლაინზე“ შესვლის, მგზავრის აყვანის, ან ჩამოსმის უფლება აქვს ნებისმიერი ასაკის ასევე თეთრ ტაქსსაც. სხვა ფერის ტაქსებს ეს უფლება არ გააჩნიათ – ანუ მათ მგზავრები შუა ქუჩაში უნდა ჩამოყარონ!

საქმე გვაქვს უაღრესად საინტერესო მოვლენასთან! ქვეყანაში, დაწესებულია **საავტომობილო რასიზმი!** დააკვირდით: თქვენ, მოქალაქე შორენა, იძახებთ ტაქსს. მოდის ცისფერი ან შავი „მერსედესი“, თქვენ – ორ მცირეწლოვან ბავშვთან ერთად, მიემგზავრებით, თან ხელჩანთაც გიჭირავთ და... მძღოლი ავტომობილს გიჩერებთ შუა ქუჩაში!

და ეს გააკეთა თბილისის მერიამ თავისი ვოლუნტარისტული გადაწყვეტილებით!

ეს „**საავტომობილო რასიზმი**“ უხეშად არღვევს საქართველოს კონსტიტუციის უმთავრეს ნორმას (სიცოცხლის უფლება, თანასწორობა...), რაზეც დუმს პარლამენტი, მმართველი პარტია, ოპოზიცია, ტელევიზიები...

დუმს შსს და საპატრულო პოლიციაც!

რამდენიმე წლის წინ მერიაში შეიქმნა „**მგზავრთა ულიცენზიო ტაქსით მომსახურების გამოვლენისა და დოკუმენტირების სამსახური**“, რომელიც ტალიკ-ტალიკი ბიჭებით დაკომპლექტდა და მუშაობაც გაჩაღდა. ჯგუფის წევრები აპლიკაციით (!) სპეციალურად იძახებდნენ ულიცენზიო ტაქსს, A წერტილიდან B წერტილამდე გადააყვანინებდნენ თავს და შემდეგ, მძღოლის ზურგს უკან 200 ლარიან ჯარიმებს წერდნენ!

**პირველ 7 თვეში ასეთი ჯარიმებით ამოღებულმა თანხამ 3,5 მილიონი ლარი** შეადგინა. იოლი მისახვედრია, რომ დამრღვევები იყვნენ ყველაზე შეჭირვებული, უმუშევარი, წვრილშვილის პატრონი, უღარიბესი პენსიონერები და მარჯვენასაჭიანი, ძველი ავტომობილების მფლობელები, რომლებსაც ლიცენზიის მიღების შანსი არც ჰქონდათ! უაღრესად მნიშვნელოვანია ისიც, რომ დაჯარიმებულები რეგისტრირებული იყვნენ ერთ ახლად შექმნილ საავტომობილო კომპანიაში (ავტოპარკში), რომლის ოფისი მაშინ ბაგებში გახლდათ. ჩემი გულუბრყვილობის გამო, მერიის ამ სამსახურის მაშინდელ უფროსს დავუსვი კითხვა: თუ თქვენი მიზანი სამართალდარღვევის (მგზავრთა ულიცენზიოდ მომსახურება!) აღმოფხვრაა, რატომ არ მიმართეთ იმ კომპანიას გამაფრთხილებელი წერილით?

პასუხი იყო ცინიკური – **რა მესაქმება რომელიღაც კომპანიასთან?**

**ისმის ლოგიკური კითხვა: მერიის წიაღში შექნილი ეს კომპანია სპეციალურად ხომ არ იყო შექმნილი ამ მრავალმილიონიანი „ბიზნესის“ წამოსაწყებად? ჩემი აზრით, ეს პროკურატურის გამოსაძიებელი თემაა! ამას გარდა, მიაქციეთ ყურადღება, რომ ამ სამსახურს ულიცენზიო ტაქსის მძღოლის გამოსავლენად გამოყენებული აქვს საგადასახადო სამსახურებში ფართოდ აპრობირებული ე.წ. „საკონტროლო შესყიდვა.“ თუმცა, თუ პიროგითი „ძეხვის“ არც ყიდვაა კრიმინალი და არც გაყიდვა, ულიცენზიო მომსახურება სამართალდარღვევაა! ანუ სახელმწიფო სამართალდარღვევის პროვოცირებას ახდენს თავად სახელმწიფო ჩინოვნიკის ხელით, რაც დანაშაულია!**

საეჭვოა, მერიის იურისტთა არმია ამ მარტივ ჭეშმარიტებას ვერ ხედავდეს. ნიშანდობლივია, რომ მერიის არაერთი სარეკლამო ბილბორდისა და ვიდეორგოლების მნახველ ჩვენს საზოგადოებას არ უნახავს რომელიმე სამართალდარღვევის პრევენციის შინაარსით დამუხტული რგოლი ან ბილბორდი! ამიტომ მღრღნის ეჭვი, რომ **მერია თბილისის მოსახლეობას აღიქვამს ძროხების ნახირად, რომელიც აუცილებლად და ნებისმიერი მეთოდით უნდა მოიწველოს!**

როგორც ჩანს, ხელისუფლება მოწყვეტილია ხალხის, განსაკუთრებით, მცირეშემოსავლიანთა პრობლემებს, რისი ნათელი მაგალითია უსაშველოდ მაღალი საჯარიმო სანქციები. რატომ არ შეიძლება საგზაო მოძრაობის წესების დარღვევებისთვის არსებული ჯარიმების შეცვლა უფრო მტკივნეული, მაგრამ არა ფინანსურად დამანგრეველი ფორმებით? ფაქტია, რომ ასი და ორასლარიანი ჯარიმები ზღვაში წვეთია შეძლებულებისთვის, მაგრამ მძიმე ტვირთია ღარიბებისთვის.

**მაგრამ არის გამოსავალი, რომელიც ყველასთვის თანაბრად მტკივნეული იქნება – კანონით დაწესებული ქულების ჩამოჭრის პრინციპის გაფართოვება ფინანსური სანქციების მაგივრად!**

**ასეთ შემთხვევაში, ფულიანი მოჯირითე და ღარიბი სამართალდამრღვევი ერთნაირად ზარალდებიან. ქულათა რაოდენობა მილიონერ მოჯირითესაც სწრაფად შემოადნება ხელში და ერთი წელი უმანქანოდ სეირნობა მოუწევს!**

**ვფიქრობ, ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს ქალაქსა და ჩქაროსნულ გზებზე წესრიგის დაცვას და ნაწილობრივ შეარბილებს სოციალური უსამართლობით გამოწვეულ დაძაბულობას.**

**თეიმურაზ კვირკველია**

ჟურნალისტი, ანალიტიკოსი

599 76 70 43

# სურსათის მაღალ ფასებს მთავრობა უკვე კანონპროექტით დაუპირისპირდება



## 95 პროცენტი იმპორტირებულია! 5 პროცენტი ქართულია!!!

**მაღალ ფასებთან ბრძოლის ახალი ეტაპი იწყება. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სურსათის მიწოდების ჯაჭვში, არაკეთილსინდისიერი სავაჭრო პრაქტიკის აკრძალვის შესახებ კანონპროექტს წარადგენს, რომელიც, ძირითადად, მწარმოებლებსა და სავაჭრო ქსელებს შორის ურთიერთობის დარეგულირებაზე იქნება ორიენტირებული.**

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სურსათის მიწოდების ჯაჭვში არსებობს მოლაპარაკებითი ძალაუფლების არსებითი დისბალანსი. მყიდველები მიმწოდებლებს ცალმხრივად და უსამართლოდ უწესებენ პირობებს, მათ შორის, გადახდის გადავადებას, შეკვეთების დაგვიანებით გაუქმებას, თაროზე განთავსებისა და მარკეტინგის ხარჯების დაკისრებას და ა.შ., რაც საფრთხეს უქმნის სასურსათო ჯაჭვის მდგრადობას. ამავე დოკუმენტის მიხედვით, აუცილებელია სპეციალური საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც ამომწურავად ჩამოთვლის აბსოლუტურად აკრძალულ და პირობითად დასაშვებ სავაჭრო პრაქტიკებს. კანონპროექტი ასევე დაადგენს კანონის აღსრულებაზე უფლებამოსილ ორგანოს, მის უფლებამოსილებებსა და პასუხისმგებლობის ეფექტიან, პროპორციულ და პრევენციულ სისტემას.

დისტრიბუტორები შიშობენ, რომ კანონპროექტის არსებული ფორმატი ბაზარზე არსებულ რეალურ გამოწვევებს ვერ უპასუხებს – კანონის მოქმედების სფეროს მხოლოდ მწარმოებლებით შემოფარგვლა ბაზრისთვის შედეგის მომტანი ვერ იქნება. მათი შეფასებით, რეგულაცია უნდა შეეხოს მიმწოდებლების სრულ სპექტრს და არა მხოლოდ მწარმოებლებს, რათა ბაზარზე ჯანსაღი კონკურენტული გარემო შეიქმნას.

დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციის პრეზიდენტმა **ლაშა რიჟამაძემ** აღნიშნა, რომ ადგილობრივი წარმოება თაროზე არსებული პროდუქციის მაქსიმუმ 5%-ს შეადგენს, ხოლო 95% იმპორტირებულია. ამ ფონზე კი კანონპროექტი, რომელიც მხოლოდ ადგილობრივ მწარმოებელსა და ქსელურ მარკეტებს შორის ურთიერთობას ეხება, ვერ მოიტანს პრაქტიკულ შედეგს. ლაშა რიჟამაძის თქმით, საჭიროა ყველა სუბიექტის მონაწილეობა და პოზიციების შეჯერება, ამჟამად კი კანონპროექტზე კერძო სექტორი ინფორმირებული არაა.

**„ჩანაწერში, რომელიც საშემოდგომო სესიაზე საკანონმდებლო ორგანომ უნდა განიხილოს, ვხედავთ, რომ საუბარი არის მხოლოდ მწარმოებელსა და შემსყიდველს, ანუ საცალო ვაჭრობის ქსელურ მარკეტებს შორის ურთიერთობის რეგულირებაზე. ეს ვერ იქნება ვერანაირი პრაქტიკული შედეგის მომტანი, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ, სამწუხაროდ, ვართ იმპორტდამოკიდებული ქვეყანა. შესაბამისად, მხოლოდ ამის რეგულირება ვერ იქნება იმ პრობლემის გადაჭრის მექანიზმი, რასაც ზოგადად, როგორც ადგილობრივი მწარმოებელი, ასევე სადისტრიბუციო ბიზნესი ითხოვდა. ჯერ კიდევ 2020 წელს, კონკურენციის სააგენტო თავის დასკვნაში უთითებდა ამ კანონმდებლობის საჭიროებაზე და იმ პრობლემებზე, რაზეც ასოციაციამ მიმართა, ამასთან დაკავშირებით დაიწყო მოკვლევა და დღემდე არ გვაქვს ეს კანონი.**

**იმედს ვიტოვებთ, რომ ეს კანონი დარეგულირდება, როგორც ყველა განვითარებულ ქვეყანაში, ზოგადად, მიმწოდებლების ნაწილში და არა მხოლოდ წარმოების კუთხით იმიტომ, რომ ქვეყანაში პროდუქციის 95% არის იმპორტირებული. ჩვენს საერთოდ ინფორმაციას არ ვფლობთ, კანონპროექტის რა ვერსიაზეა საუბარი. ბოლო კომუნიკაცია გვქონდა ეკონომიკის სამინისტროსთან კომისიების შემდგომაც, ზაფხულის დასაწყისში და სტატუსი ჰქონდა დოკუმენტს (კანონპროექტს), რომ მუშაობა მიმდინარეობს და არაა ჯერ იმ ფორმით, რომ ბიზნესს გავაცნოთო და დღეს უკვე ვღებულობთ, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო წარადგენს პროექტს. იმედს ვიტოვებთ, ყველა მხარის ჩართვით იქნება ეს, ადგილობრივი მწარმოებლის, რითეილის, დისტრიბუტორის“** – განაცხადა „საქმიანი დილის“ ეთერში **რიჟამაძემ.**

საქართველოს რითეილ ასოციაცია კი „სურსათის მიწოდების ჯაჭვში არაკეთილსინდისიერი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ“ კანონის შემოტანის საჭიროებას საერთოდ ვერ ხედავს. ასოციაციის თავმჯდომარე **გიორგი ხაბაშვილი** აცხადებს, რომ სექტორი საკანონმდებლო განხილვებში აქტიურად ჩაერთვება, თუმცა ამ ეტაპზე დოკუმენტის დეტალურ შინაარსს ელოდება. იგი ამტკიცებს, რომ ქართული რითეილ სექტორი ისედაც მუდმივად ორიენტირებულია ადგილობრივი მეწარმეებისა და ფერმერების მხარდაჭერაზე.

**„ჩემი ინფორმაციით, ადგილობრივ ფერმერებს რითეილის წარმომადგენლებთან პრობლემები არა აქვთ. თუმცა, თუ კანონმდებელი ჩათვლის, რომ დღევანდელი დადებითი პრაქტიკა მომავალშიც უნდა დავაზღვიოთ საკანონმდებლო დონეზე, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. თუ ეს ყველაფერი სექტორისთვის პოზიტიურად წარიმართება, ჩვენ ამას მივესალმებით“** – განაცხადა **ხაბაშვილმა.**

**ბექა დანელია**

**„პუტინის გამარჯვება“ – ასეთი სათაურით არის გამოქვეყნებული სტატია გერმანულ ჟურნალ „შპიგელში“ (DER SPIEGEL), რომელშიც გამოცემის მთავარი რედაქტორი კევინ ჰაგენი კომენტარს უკეთებს საქსონია-ანჰალტის მხარეში ჩატარებულ ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებს და მის შედეგებს: ვინ სარგებლობს გერმანელი მემარჯვენეების მიერ მოპოვებული წარმატებით? მხოლოდ რუსეთის პრეზიდენტი.**

**გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:**

**DER SPIEGEL**




# პუტინის გამარჯვება

**პრაქტიკულად ის ყველაფერი, რასაც პარტია „ალტერნატივა გერმანიისათვის“ აგრეთვე სარა ვაგენკნეხტი და მისი პარტიული თანამებრძოლები ხმამაღლა ითხოვენ, კრემლის ინტერესებს პასუხობს. საქსონია-ანჰალტის მხარეში ჩატარებულ არჩევნებში მოპოვებული წარმატება მათ შესაძლებლობას აძლევთ, ღია და შეუნიღბავი პუტინიზმის დემონსტრირება თავისუფლად მოახდინონ.**

ვლადიმერ პუტინის მიზნები გერმანიის მიმართ შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ უნდა შეწყვიტოს უკრაინისადმი მხარდაჭერა და ისევ უნდა დაიწყოს რუსული ბუნებრივი გაზის ყიდვა დიდი მოცულობით. გერმანიამ ხელი უნდა შეუწყოს ნატოსა და ევროკავშირის დასუსტებას. კრემლს ასევე მოეწონებოდა, თუ გერმანელები უარს იტყოდნენ ლიბერალურ დემოკრატიაზეც.

თუ მოსკოვის მიზნები განხორციელდება, კრემლისთვის ეს ზედმიწევნით კარგი იქნება: უკრაინა, ალბათ, კრახის წინაშე აღმოჩნდება, რუსეთი გაზის გაყიდვით საკმარის ფულს მიიღებდა ომის გასაგრძელებლად, ბერლინი კი ისევ მოსკოვზე დამოკიდებული გახდებოდა. შეძლებდა დასავლეთი ასეთ სიტუაციაში ძლიერი საპირწონის როლის შესრულებას? ვერ შეძლებდა: დასავლეთი დანაწევრებული, დასუსტებული და გამოფიტულია.

## ზეიმი კრემლში

**საქსონია-ანჰალტის მხარეში ჩატარებული ადგილობრივი ლანდტაგის (საკანონმდებლო ორგანოს) არჩევნების შედეგები, ალბათ, კრემლისთვის სასიხარულო ფაქტს წარმოადგენს – გამარჯვება პრორუსულმა პოლიტიკურმა ძალებმა მოიპოვეს: ხმების თითქმის 44% მიიღო პარტიამ „ალტერნატივა გერმანიისათვის“ (AfD), 5,3% – „სარა ვაგენკნეხტის კავშირმა“ (BSW), თუ მსგავსი იდეოლოგიის მქონე ეს ორი პარტია ერთმანეთს ამა თუ იმ ფორმით შეუკავშირდებიან და მოსკოვზე ორიენტირებულ კოალიციას შექმნიან, ისინი ლანდტაგში აბსოლუტურ უმრავლესობას მიიღებენ.**

როგორ განვითარდება მოვლენები საქსონია-ანჰალტში? რასაკვირველია, ვლადიმერ პუტინის პროექტი შეუძლებელია დემოკრატების ხელით განხორციელდეს – ისინი მეტნაკლებად მაინც წესიერები არიან და უკიდურეს ნაბიჯს არ გადადგამენ. აქედან გამომდინარე, რუსეთი ფსონს დესტაბილიზაციის მოწყობაზე დებს. კრემლის მიზანი გამოიხატება დემოკრატიის დისკრედიტაციაში, ადგილობრივი ინსტიტუტების რეპუტაციის დაცემაში, მოსახლეობაში შიშის დათესვაში – დეზინფორმაციით და ჰიბრიდული შეტევებით, აგრეთვე გერმანელი უპრინციპო პოლიტიკოსებისადმი მხარდაჭერაში, რომლებიც რუსეთის პროპაგანდის ტირაჟირებას ეწევიან და ხელს უშლიან ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებში პასუხისმგებელი და შრომისუნარიანი უმრავლესობის ჩამოყალიბებას. პარტიები „ალტერნატივა გერმანიისათვის“ და „სარა ვაგენკნეხტის კავშირი“ სწორედ ასეთ პოლიტიკურ ძალებს წარმოადგენენ.

## „კომუნისტური შემართებით...“

**პოლიტიკა, რომელსაც ყოფილი კომუნისტი, ყოფილ გდრ-ში დაბადებული, 55 წლის სარა ვაგენკნეხტი და მისი ერთგული გუნდი (BSW) გერმანიაში ახორციელებს, სრულად პასუხობს კრემლის ინტერესებს.**

**BSW**-ელები თავიანთ მოთხოვნებს უკრაინის მიმართ სამშვიდობო ინიციატივით ნიღბავენ, გამოდიან რუსეთისადმი სანქციების მოხსნისა და უკრაინისათვის იარაღის მიწოდების აკრძალვის მოთხოვნით, სამაგიეროდ კი სურთ, გერმანიის მოსახლეობას ისევ იაფი რუსული გაზი დაუბრუნონ. სარა ვაგენკნეხტს უნდა ნატო ისეთი ახალი სამხედრო ბლოკით ჩანაცვლდეს, რომლის წევრი რუსეთიც იქნებოდა.

როცა გერმანიის მთავრობა ლაიფციგში მომხდარი ინციდენტის გამო რუსეთის მისამართით გამაფრთხილებელი განცხადებით გამოვიდა, სარა ვაგენკნეხტმა აღშფოთება გამოხატა. იმავდროულად მისმა თანაგუნდელმა **BSW**-ელებმა საქსონია-ანჰალტში უკრაინის პრეზიდენტის წინააღმდეგ შეურაცხმყოფელი გამოხტომები განახორციელეს (ვოლოდიმირ ზელენსკის ებრაულ წარმოშობასთან დაკავშირებით) და მას „ფულზე დახარბებული თაღლითი“ უწოდეს.

ტიურინგიაში **BSW**-ელებმა თავიანთი პოლიტიკის პროპაგანდაში მარცხი განიცადეს – მოსახლეობიდან გარიყულები აღმოჩნდნენ, საქსონია-ანჰალტში კი მათ ნოყიერი ნიადაგი იპოვეს და უკრაინისათვის ზიანის მიყენება დაიწყეს. „ალტერნატივის“ ლიდერთან – ალისა ვაიდელთან ერთად სარა ვაგენკნეხტს სურს, ადგილობრივ პარლამენტში (ლანდტაგში) ისეთი რეზოლუცია მიიღოს, რომლის მიხედვით, საქსონია-ანჰალტის სამხარეო მთავრობა იძულებული იქნება ბუნდესრატში (გერმანიის ფედერალური მხარეების საბჭოში) კიევისათვის სამხედრო დახმარების შეწყვეტის ინიციატივით გამოვიდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი უკრაინის დამარცხებისთვის იღვწიან, რუსებთან მეომარ უკრაინელებს დანებებას სთავაზობენ.

შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რა მოტივები ამოძრავებთ სარა ვაგენკნეხტს და მის მომხრეებს, მაგრამ ერთი რამ აშკარაა: მათ მიმართ ხელისუფლების ლოიალურმა დამოკიდებულებამ კრახი განიცადა. **BSW**-ელები სულ უფრო აქტიურად გამოდიან კატალიზატორად პოლიტიკური ატმოსფეროს მოწამვლაში, რომელშიც „ალტერნატივა“ თავს მტკიცედ გრძნობს.

## სახიფათო სცენარი: რა იქნება შემდეგ?

**არჩევნების წინ სარა ვაგენკნეხრის პარტია უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ თუ სამხარეო მთავრობის მეთაურს ორ ტურში ვერ აირჩევდნენ, მესამეში მონაწილეობისაგან თავს შეიკავებდა. ამით ირიბად ხელს შეუწყობდა „ალტერნატივის“ კანდიდატს ულრიხ ზიგმუნდს ამ პოსტის დაკავებაში.**

არჩევნების შემდეგ ძალთა ისეთი განლაგება შეიქმნა, რომ ასეთი სცენარი, როგორც ჩანს, აღარ განიხილება, თუმცა ის გარემოება, რომ პარტია მზად არის, გზა გაუკაფოს უკიდურესად მემარჯვენე სამხარეო მთავრობის შექმნას – პირველად მეორე მსოფლიოს ომის დამთავრების შემდეგ – უკვე ანტიდემოკრატიული დღის წესრიგისადმი ხელშეწყობას ნიშნავს. ეს ეხება აგრეთვე ზეპარტიული (უპარტიო) მთავრობის შექმნის გეგმასაც, მაგრამ „ალტერნატივის“ შეთავაზებული კანდიდატებით დაკომპლექტებულს.

**მოკლედ, გერმანიაში მომხდარი ამბებით ერთი პიროვნება, ალბათ, განსაკუთრებით იქნება გახარებული: ვლადიმერ პუტინი.**






თარგმნა

**სიმონ კილაძემ**




# ტრილიონად შეფასებული „ოქროს გუმბათი“

**აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიერ ინიცირებული სარაკეტო თავდაცვის სისტემის, □ოქროს გუმბათის□ შექმნის, განთავსებისა და ოპერირების ღირებულებამ შესაძლოა 20 წლის განმავლობაში დაახლოებით 1.2 ტრილიონი დოლარი შეადგინოს,** – ამის შესახებ აშშ-ის კონგრესის საბიუჯეტო ოფისის შეფასებაშია ნათქვამი. (Congressional Budget Office)

პენტაგონის ოფიციალური შეფასებით, პროგრამის სამიზნე არქიტექტურის შექმნა 2035 წლამდე დაახლოებით 185 მილიარდი დოლარი დაჯდება. თუმცა, კონგრესის საბიუჯეტო ოფისის გათვლებით, სისტემის სრულად განვითარება, განთავსება და 20 წლის განმავლობაში ოპერირება შესაძლოა გაცილებით ძვირი აღმოჩნდეს.

□ოქროს გუმბათი□მრავალდონიანი სარაკეტო თავდაცვის სისტემის შექმნას ითვალისწინებს, რომელიც აშშ-ის ტერიტორიას ბალისტიკური, ჰიპერბგერითი და ფრთოსანი რაკეტებისგან დაიცავს. პროექტი აერთიანებს კოსმოსურ და სახმელეთო სენსორებს, მართვის სისტემებსა და რაკეტსაწინააღმდეგო საშუალებებს.

ამასთან, კონგრესის საბიუჯეტო ოფისი აღნიშნავს, რომ საბოლოო ღირებულების ზუსტად განსაზღვრა ამ ეტაპზე რთულია, რადგან აშშ-ის ადმინისტრაციას სისტემის სრული არქიტექტურა საჯაროდ დეტალურად არ წარმოუდგენია.

# ჩრდილოეთ კორეა ბირთვულ კომპლექსს ზდის

**ჩრდილოეთ კორეამ იონგბიონის ბირთვულ კომპლექსში ურანის გასამდიდრებლად ახალი ობიექტი ააშენა, რომელშიც 28 ცენტრიფუგის კასკადის განთავსებაა შესაძლებელი,** □ამის შესახებ ინოფრმაციას ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ (IAEA) ავრცელებს.

სააგენტოს ანგარიშში ნათქვამია, რომ დასკვნები ჩრდილოეთ კორეის ბირთვული ინფრასტრუქტურის მრავალ ადგილას სტაბილურ გაფართოებაზე მიუთითებს.

ამასთან, 28 აგვისტოს ანგარიშში Iგრგ აცხადებს, რომ ფხენიანის ბირთვული საქმიანობის თვალყურის დევნებისთვის ის თანამგზავრულ სურათებსა და ღია წყაროებიდან მიღებულ მასალას ეყრდნობოდა, მათ შორის ჩრდილოეთ კორეის სახელმწიფო მედიის მიერ გამოქვეყნებულ ფოტოებს.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (Iგრგ) განცხადებით, ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის განვითარება გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს არღვევს.

# ფაშინიანის ამბიციებს საზღვარი არა აქვს...

**სომხეთს პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა განაცხადა, რომ მისი ქანდაკება ბაქოში უნდა დაიდგას,** – ინფორმაციას ამის შესახებ სომხური გამოცემა □ჰრაპარაკი□ავრცელებს.

გამოცემის ინფორაციით, ფაშინიანმა განაცხადა, რომ მან რეგიონში რუსული გავლენა მნიშვნელოვნად შეასუსტა.



ამასთან, ფაშინიანმა აღნიშნა, რომ ყარაბაღის საკითხის გადაჭრით მან არამარტო სომხეთი გაათავისუფლა რუსული უღლიდან, არამედ აზერბაიჯანიც. ამიტომაც სომხეთის პრემიერი მიიჩნევს, რომ ბაქოში მისი ქანდაკება უნდა დაიდგას.

# მარტა კოსი: არც რუსეთი, არც ამერიკა, არამედ რაღაც სხვა...



**ევროკავშირში გაწევრიანების მსურველმა ქვეყნებმა აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის MAGA-ს მოძრაობასთან კავშირები უნდა გაწყვიტონ, რათა ევროკავშირის წევრობა შეძლონ,** □ამის შესახებ გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა **მარტა კოსმა** განაცხადა.

მისი თქმით, ევროკავშირის გაფართოების პროცესში ისტორიაში პირველად არიან მოწინააღმდეგეები. კითხვაზე, ვინ არიან ევროკავშირის ეს □მოწინააღმდეგეები□, კოსმა უპასუხა: □**ცხადია, რუსეთი ერთ-ერთი მათგანია**□

თუმცა, ევროკომისრის განცხადებით, ევროკავშირი ასევე განიცდის □ზეწოლას დასავლეთიდან □MAGA-ს იდეოლოგებისგან, რომლებიც ცდილობენ ევროპელების დარწმუნებას, რომ □**ევროპული ცივილიზაცია დაღმასვლას განიცდის, ჩვენი ეკონომიკა დაღმასვლას განიცდის და ჩვენ არ გვაქვს სათანადო დემოკრატია**□

ევროკომისრის შეფასებით, ჩინეთი □**განსხვავებული შემთხვევაა**□ კოსის განცხადებით, ჩინეთი ამ მიმართულებით განსხვავებულად მოქმედებს და ამ ეტაპზე ევროკავშირი მისგან რუსეთის მსგავსი დეზინფორმაციული კამპანიების ნიშნებს ვერ ხედავს. მისივე თქმით, **ჩინეთი კანდიდატ ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირების გაძლიერებას ცდილობს, რათა ევროკავშირში მათი გაწევრიანების შემდეგ ეკონომიკური სარგებელი მიიღოს.**

**1941 წლის თებერვალში პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში, ომიანობისგან თავშესაფარად ქცეულ ნეიტრალურ ქალაქში, ორი ბრიტანელი ჩაფრინდა.**

**მათგან ერთ-ერთი იყო უოლტერ დიკეტსი. გარეგნობითა და მანერებით ნამდვილ ჯენტლმენს ჰგავდა: პირველი მსოფლიო ომის ვეტერანი, ყოფილი სამხედრო მფრინავი და მზვერავი. თუმცა, ომებს შორის პერიოდში მისი ცხოვრება სულ სხვა მიმართულებით წავიდა: მან სახელი ფინანსური თაღლითობითა და ყალბი ჩეკების გავრცელებით გაითქვა, რის გამოც ციხეშიც იჯდა.**

# ორმაგი თამაში




## აგენტი, რომელიც ჰიტლერის დაზვერვამ ვერ გატეხა

**მაგრამ 1941 წელს ბრიტანეთის კონტრდაზვერვას (MI5) ცივსისხლიანი, დამაჯერებელი მატყუარები სჭირდებოდა. დიკეტსს ადამიანების დარწმუნების იშვიათი ნიჭი ჰქონდა. MI5-მა მას კოდური სახელი Celery (□ნიახური□) მიანიჭა და ორმაგი აგენტების ქსელში ჩართო.**

ლისაბონში დიკეტსის დავალება იყო, დაკავშირებოდა გერმანულ სამხედრო დაზვერვას (აბვერს) და თავი ბრიტანეთის მოღალატედ გაესაღებინა. მასთან ერთად იმყოფებოდა ბრიტანელების კიდევ ერთი ცნობილი ორმაგი აგენტი, არტურ ოუენსი (კოდური სახელით Snow).

**სწორედ აქ დაიწყო ამ ისტორიის ყველაზე დრამატული ნაწილი.**

**ოუენსმა, რომელიც სინამდვილეში საკუთარ თამაშს თამაშობდა, აბვერის ოფიცერ ნიკოლაუს რიტერს ფარულად გაუმხილა, რომ დიკეტსი MI5-ის აგენტი იყო. რიტერმა გადაწყვიტა, ახალბედა აგენტი უშუალოდ მესამე რაიხის ტერიტორიაზე წაეყვანა და საფუძვლიანად შეემოწმებინა. დიკეტს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ გერმანიისკენ მიმავალ გზაზე ის უკვე გაცემული იყო.**

1941 წლის მარტის დასაწყისში დიკეტსი ჰამბურგში ჩაიყვანეს. რამდენიმე დღის განმავლობაში აბვერის ოფიცრები მას უწყვეტად კითხავდნენ, ამუშავებდნენ ალკოჰოლით, ნარკოტიკული ნივთიერებებითა და ფსიქოლოგიური ზეწოლით. დიკეტსის სიცოცხლე მთლიანად იმაზე იყო დამოკიდებული, რამდენად დამაჯერებლად ითამაშებდა როლს. **მან შეუძლებელი შეძლო: დიკეტსმა გერმანელები ისე დააჯერა თავის □ერთგულებაში□, რომ აბვერმა იგი თავის აგენტად აღიარა და დაავალა, ინგლისის არხის კუნძულებიდან ბრიტანეთში აგენტებისა და აღჭურვილობის ტრანსპორტირება უზრუნველეყო.**

მარტის ბოლოს დიკეტსი ბრიტანეთში მშვიდობიანად დაბრუნდა, თუმცა წინ ახალი დარტყმა ელოდა. ოუენსმა, საკუთარი ღალატის გადასაფარად, MI5-ს განუცხადა, რომ დიკეტსი გერმანიაში მტერს მიემხრო. ბრიტანულმა კონტრდაზვერვამ ხანგრძლივი დაკითხვებისა და ფაქტების შეჯერების შემდეგ სიმართლე დაადგინა: დიკეტსს სრული ნდობა გამოუცხადეს, ხოლო მოღალატე არტურ ოუენსი დააპატიმრეს და ომის ბოლომდე ციხეში ჩასვეს.

**მოგვიანებით, 1941 წლის ბოლოს, დიკეტსი MI5-ის დავალებით ბრაზილიაში გაგზავნეს, სადაც მან 1942 წლის გაზაფხულამდე დაყო. ომის შემდეგ კი იგი კვლავ დაუბრუნდა თავის ძველ ჩვევებს □ ფინანსურ თაღლითობებს, იცვლიდა სახელებს და საბოლოოდ მისი ცხოვრების გზა მალაიაში, კაუჩუკის პლანტაციაზე დასრულდა.**

დიკეტსს საკუთარი ოჯახისთვის ჯაშუშური წარსულის შესახებ არაფერი უამბია. მხოლოდ 2006 წელს, როდესაც ბრიტანეთის ეროვნულმა არქივმა MI5-ის გასაიდუმლოებული ფაილები გაასაჯაროვა, მისმა შვილიშვილმა, კაროლინდა უიტმა, ბაბუის ნამდვილი ვინაობა შეიტყო და მოგვიანებით წიგნიც მიუძღვნა.

**კაცი, რომელიც მთელი ცხოვრება ტყუილსა და სიმართლეს შორის ზღვარზე დადიოდა, ისტორიაში დარჩა სწორედ ისე, როგორც მისმა შვილიშვილმა უწოდა: ერთდროულად გმირი, თაღლითი და მატყუარა, რომელმაც საკუთარი თაღლითური ნიჭი ომის ყველაზე კრიტიკულ მომენტში გამოიყენა.**









# ერთბაშად — ორ ხმაში!

**ქართულ კალათბურთში მიმდინარე საუკუნეში პირველად მოხდება, რომ ევროპულ ტურნირებზე ერთ სეზონში ერთბაშად 2 ქართული გუნდი იასპარეზებს. ასეთ შემთხვევას ბოლოს ადგილი 90-იან წლებში ჰქონდა, როცა „ვითასთან“ ერთად ევროთასებზე (კორაჩის თასზე) ხან „მერანი“, ხან „კაკტუსი“, ხანაც „შევარდენი“ გამოდიოდა.**

მას მერე, თითქმის 30 წლის შემდეგ პირველად ხდება, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ერთბაშად ორი ქართული კლუბი იბრძოლებს. ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი □ბათუმი□ძალებს FIBA-ს ჩემპიონთა ლიგაზე მოსინჯავს და თუკი ჯგუფში ვერ მოხვდა, FIBA Europe Cup-ზე გადაინაცვლებს, ხოლო კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გუნდი კსუ ევროპის ჩრდილოეთის საკალათბურთო ლიგას (ENBL) ოფიციალურად უკვე შეემატა.

ტურნირის ოფიციალურმა ვებ-გვერდმა იმავე დღეს დაადასტურა, რომ ევროპულ რუკას კიდევ ერთი ქალაქი – თბილისი – შეემატა.

## რა არის ENBL და რას წარმოადგენს აღნიშნული ტურნირი?

**ევროპის ჩრდილოეთის საკალათბურთო ლიგა 2021 წელს ლატვიაში დაარსდა. მიუხედავად იმისა, რომ ტურნირი შედარებით ახალია, მან მოკლე დროში მოიპოვა მაღალი რეპუტაცია და გეოგრაფიული არეალიც საგრძნობლად გააფართოვა.** ENBL FIBA Europe-ის პატრონაჟითა და ოფიციალური აღიარებით ტარდება – მატჩები FIBA-ს სტანდარტებითა და ლიცენზირებული მსაჯებით მიმდინარეობს, ხოლო კალენდარი სრულად ითვალისწინებს სანაკრებო ფანჯრებს.

ტურნირის არსებობის მანძილზე ჩემპიონობა ისეთმა გუნდებმა იზეიმეს, როგორებიც არიან პოლონური □ანვილი□, □სტალი□, დანიური □ბაკენ ბიარსი□და რუმინული □ვოლუნტარი□.

ახალ სეზონში ksu A ჯგუფში ითამაშებს, სადაც საკმაოდ სერიოზული და საინტერესო კონკურენცია ელის:

**A ჯგუფი:** კსუ (საქართველო), □იონავა□(ლიეტუვა), □ლიეპაია□(ლატვია), □ბრისტოლი□(დიდი ბრიტანეთი), □ჰეფტე ჰელფენი□(ავსტრია), □ლოზანა□(შვეიცარია), □მიტელდოიჩერი□(გერმანია), □ტინდასტოლი□(ისლანდია) და ხორვატეთის წარმომადგენელი (□ალკარი□, □დინამო ზაგრები□, □დუბრავა□ან □ზაბოკი□).

**B ჯგუფი:** □ანვილი□(პოლონეთი), □სპარტაკი პლევენი□(ბულგარეთი), □ვოლუნტარი□(რუმინეთი), □გრონინგენი□(ნიდერლანდები), □ფალინგენი□(ნორვეგია), □ზრინსკი□(ბოსნია-ჰერცეგოვინა), □ტალტეხი□(ესტონეთი), □აელ ლიმასოლი□(კვიპროსი) და ხორვატეთის წარმომადგენელი.

საერთაშორისო დებიუტისთვის სერიოზულად ემზადება თბილისური კლუბის ხელმძღვანელობაც. კსუ-მ შემადგენლობა როგორც გამოცდილი ქართველი კალათბურთელებით, ისე ხარისხიანი ლეგიონერებით გააძლიერა. გუნდის ღირსებას დაიცავენ:

დავით კაკუშაძე, აკაკი დვალიშვილი, რევაზ როგავა, სანდრო სანაძე, გეგი ბაქრაძე, ალექსანდრე ვაშაკიძე, გიორგი კოსტავა, ჯასტინ ფორესტი, შამარ რაითი, ტომი ლუისი და ბრეილენ ბრიჯესი.

მთავარი მწვრთნელი – **ბექა წივწივაძე.**

თბილისური გუნდი ჯგუფურ ეტაპზე 8 შეხვედრას ჩაატარებს – 4-ს შინ და 4-ს სტუმრად:

**29 სექტემბერი,** 2026: ხორვატეთი 1 – კსუ (სტუმრად).

**7 ოქტომბერი,** 2026: კსუ – იონავა (სახლში).

**14 ოქტომბერი,** 2026: კსუ – ლოზანა (სახლში).

**11 ნოემბერი,** 2026: კსუ – მიტელდოიჩერი (სახლში).

**18 ნოემბერი,** 2026: ეფთე ჰელფენი – კსუ (სტუმრად).

**9 დეკემბერი,** 2026: ლიეპაია – კსუ (სტუმრად).

**6 იანვარი,** 2027: კსუ – ბრისტოლ ფლაიერსი (სახლში).

**19 იანვარი,** 2027: ტინდასტოლი – კსუ (სტუმრად).

# იწყება აღმშენებლობა!



**ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა შესაბამისი ხელშეკრულება გააფორმა ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან**, – ინფორმაციას ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი ავრცელებს.

საფეხბურთო ტექნიკური ცენტრები და ხელოვნურსაფარიანი სტადიონები აშენდება დაბა ასპინძაში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბაში, კასპში, ხაშურში და ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარაში.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა 300 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნები, ხელოვნურსაფარიანი სავარჯიშო სტადიონები და განათების თანამედროვე სისტემები, რაც მოედნების გამოყენებას დღის ნებისმიერ მონაკვეთში უზრუნველყოფს. ასევე განთავსდება გასახდელები, სველი წერტილები, სამედიცინო ოთახები და დამხმარე სივრცეები. მუნიციპალური განვითარების ფონდი, ქვეყნის მასშტაბით, 50-ზე მეტი ტექნიკური ცენტრისა და ხელოვნურსაფარიანი სტადიონის აშენებას გეგმავს.

ახალი სპორტული ინფრასტრუქტურა ხელს შეუწყობს რეგიონებში ფეხბურთის განვითარებას და ახალგაზრდებისთვის თანამედროვე სავარჯიშო გარემოს შექმნას.

# ჯვაროსნები ევროპაში

**ძველი სამყაროს ტოპ-5 ლიგაში უკვე არნახული კონტინგენტი – 11(!) ლეგიონერი გვყავს, თუმცა, კიდევ უფრო მეტი სამშობლოს სახელს დანარჩენ ჩემპიონატებში უთქვამს.**

ისინი საზაფხულო არდადეგების შემდეგ თანდათან კრეფენ სათანადო კონდიციებს და მოახლოებული სანაკრებო ფანჯრისთვის ოპტიმიზმის საფუძველს გვიმყარებენ – სექტემბრის ბოლოს ხომ ერთა ლიგის ახალი გათამაშება იწყება ჩრდილოეთ ირლანდიასთან და უკრაინასთან საშინაო მატჩებით.




უპირველესად, ქართული ფეხბურთის 17 წლის ამომავალ ვარსკვლავს **ანდრია ბართიშვილს** მივულოცოთ სამედიცინო შემოწმების წარმატებით გავლა და პრემიერლიგის მოქმედ გვირგვინოსან ლონდონის არსენალთან წინასწარი კონტრაქტის გაფორმება. შეგახსენებთ, რომ იგი ფოთის კოლხეთის საკუთრებაა და თბილისის იბერიაში იჯარით თამაშობს.

დავძენთ, რომ მეთოფეებმა გარიგებაში 4,5 მილიონი ევრო გადაიხადეს, ჭაბუკი ტალანტი კი ჩემპიონთა ლიგის ფინალისტის მაისურს გაისად ზაფხულში მოირგებს, როცა სრულწლოვანი გახდება. ახლა კი სტატისტიკა!

**იტალიის სერია – ა.** ფროზინონე – ვენეცია 3:2. გამარჯვების გოლი, თანაც პირველი ელიტაში, **გიორგი კვერნაძემ** გაიტანა, რომელსაც მარაგში 1 ასისტიც აქვს, მისი კლუბი კი 3 ტურის შემდეგ 6 ქულით ლიდერთა ჯგუფშია.

**ნიდერლანდების ერედივიზიონი**. ვილემი – ექსელსიორი 0:3. **ირაკლი ეგოიანმა** სეზონში მეორედ დაუმატა გოლს ასისტი და ასევე მეორედ მიიღო თითქმის უმაღლესი შეფასება – 9, 1, სულ აქტივში 2 გოლი და 4 ასისტი მოუგროვდა, მისი გუნდი 5 თამაშში 10 ქულით მე-5 ადგილზეა მას შემდეგ, რაც ნაიმეგენთან (2:2), კიდევ ერთი ასისტი მიითვალა.

ამავე უქმეებზე გაიტანეს აგრეთვე **ლობჟანიძემ** (აშშ-ში), **ზივზივაძემ** (მე-2 ბუნდესლიგაში), **კიტეიშვილმა** და **გიზო მამაგეიშვილმა** (ავსტრიის თასზე), **კვარამ** კი ახალ სეზონში პირველი ასისტი შეასრულა.

და აი, უმნიშვნელოვანესი სიახლე ხვიჩას შესახებ: იგი ნომინირებულია ოქროს ბურთზე **მბაპეს, იამალის, კეინის, მესის, ოლისესა** და სხვა სუპერვარსკვლავთა ტოლ-სწორად, ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ **კვარაცხელიამ** 26 ოქტომბერს ლონდონში გვირგვინი უნდა დაიდგას, რადგან იგი ამას იმსახურებს!

ამასობაში დაიწყო ჩემპიონთა ლიგის ახალი სეზონი და **გიორგი მიქაუტაძემ** პირველი ასისტი კუთხურიდან შეასრულა, თუმცა ვილიარეალს ვერ უშველა გერმანიაში დორტმუნდის ბორუსიასთან – 2:3, პირველი დღის სხვა მატჩები ასე დასრულდა: რეალი – ინტერი 2:1, ლილი – ბეტისი 2:3, აეკ – ლასკი 1:0, ბრიუგე – ასტონ ვილა 2:3, პორტუ – სიტი 0:2.

# კარგი ქართული ამბები

## ძიუდო

**პოდგორიცა (მონტენეგრო).** 20-წლამდელთა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. საქართველოს ნაკრები – **2 ბრინჯაო:** ლუკა ომანაძე (60 კგ) და გუნდური ტურნირი მიქსში (ვაჟთა და ქალთა შერეული ბრძოლები). აქვე კიდევ ერთი სასიამოვნო ინფორმაცია: იქვე ოფიციალურად გამოცხადდა, რომ გაისად მსგავს ფორუმს ამავე ასაკში საქართველო უმასპინძლებს და ბოლო დღეს დროშის გადმოცემის საზეიმო ცერემონიალიც გაიმართა.

## ჭადრაკი

**პონ-დიუ-გარი (საფრანგეთი).** ღია საერთაშორისო ფესტივალი 12 ქვეყნის 80 წარმომადგენლის მონაწილეობით. მთავარ ტურნირში ევროპის 2017 წლის ჩემპიონმა **ნანა ძაგნიძემ** მე-2-მე-6 ადგილები გაიყო, ხოლო ქალთა შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა. აღსანიშნავია, რომ ბოლო ტურში ქართველმა დიდოსტატმა უკრაინელი მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ანა უშენინა დაამარცხა, სულ კი 5 პარტია მოიგო, 3 ყაიმით დაასრულა და მხოლოდ 1 წააგო.

16-17 სექტემბერს უზბეკურ სამარყანდში გასამართავ მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე ჯვაროსნები ასეთი შემადგენლობებით ითამაშებენ:

### ქალები

ნანა ძაგნიძე, ნინო ბაციაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, ბელა ხოტენაშვილი და მერი არაბიძე, კაპიტანი – სალომე მელია.



### ვაჟები

ბაადურ ჯობავა, მიხეილ მჭედლიშვილი, ნიკოლოზ კაჭარავა, ლევან ფანცულაია და ლუკა პაიჭაძე, კაპიტანი – ზურაბ სტურუა.

და ბოლოს – კიდევ ერთი საამაყო ფაქტი, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას შეგიქმნით ჩვენებურთა მზადყოფნაზე: მაკედონიის საკლუბო ჩემპიონატის გამარჯვებულის ალკალოიდის ტრიუმფში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს **ლელა ჯავახიშვილმა** (პირველ დაფაზე 6 პარტიიდან 4,5 ქულა) და განსაკუთრებით – **ბელა ხოტენაშვილმა** (მეორე დაფაზე 5 პარტიაში ქულათა მაქსიმუმი!).

## სპეციალური ოლიმპიადა



**ჟენევა (შვეიცარია).** საქართველოს ნაკრები – **ვერცხლი.** ჩვენმა 2024 წელს შექმნილმა გუნდმა, რომელიც რეგულარულად თამაშობს პარიზის მსგავს ტურნირზე, ამჯერად 9 შეხვედრიდან 7 მოიგო, 1 ფრედ დაასრულა და ფინალი მინიმალური სხვაობით – 1:2 დათმო ფრანგებთან. დავძენთ, რომ ეს ბოლო სეზონის განმავლობაში ჯვაროსანთა პირველი მარცხია ჯამური 24 გამარჯვებისა და 4 ფრის წილად.

## კიბერფეხბურთი

**16-25 ოქტომბერს** საუდის არაბეთში დანიშნულ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ რაუნდში პირველად ითამაშებს საქართველოს ნაკრები **გიორგი გაბუნიასა** და **საბა პეტრიაშვილის** შემადგენლობით (ეროვნული ფედერაციის დამფუძნებელი – **თემო მჟავია**). ისტორიული მიღწევის ავტორებმა შესარჩევ ეტაპად ჩატარებული საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშების ნახევარფინალში ბერძნებს სძლიეს და მთავარი მიზანი ვადამდე შეასრულეს, ფინალი კი ოქროს გოლის წესით თურქებთან დათმეს.

საქართველოს რესპუბლიკა

პოეტის ერთი ლექსი

# სიყვარულს ვერვინ გათიშავს ძალად...

რა ლამაზია, როდესაც ღამით,
მთვარეს ანათებს ნაზი ვარსკვლავი,
ის მომაგონებს კეკლუც ლამაზმანს,
მორცხვად მომღიმარს აივნის კარზედ...

მთვარე კი აშიკ რაინდს წააგავს,
ეშხით მომღერალს აშუღის ხმაზედ,
შორიდან ეტრფის, შორიდან იწვის,
შორით უკოცნის ლამაზ ქალს ბაგეს.

რა ქათქათაა თეთრი ღრუბლები,
ფერიებრ ჰქრიან რონინით ცაში,
და მათ სიყვარულს უფრთხილდებიან –
ზურგით ფარავენ ლამაზ წყვილს ქარში.

მუხლმოდრეკილი ვაჟის ჩურჩული,
მე მომაგონებს წარსულის ამბავს,
როცა ბუნება იღვიძებს ნაზად,
სიყვარულის ჰანგს მე ვისმენ ხარბად...

მეც განმიცდია ეს გრძნობა მწველი,
ნექტრადქცეული დღესაცა მკვებავს –
წმინდა სიყვარულს, სუფთა სიყვარულს
სულ ვუფრთხილდები და მისი მჯერა...

სიყვარულს ვერვინ გათიშავს ძალად,
მას ვერ მოაშთობს ბოროტი ძალა,
სიცოცხლეს უდგას ის დამცველ ფარად,
„არ სდევს ჟამთა სვლას... არ სდევს ჟამთა სვლას“
მუდამ იცოცხლებს მზის სხივის დარად.

**თინა ნოდია,**
თბილისი. (550776176)



# მოგონებათა უწყვეტი ჯაჭვი

**3 სექტემბერს, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარის ნანა ჭიჭინაძის ინიციატივითა და დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელის ლალი გურასპაულის მხარდაჭერით, სპეციალური სტუმრის სტატუსით მოწვეულები იყვნენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ექსპერტი ისტორიის დარგში ნათელა ვაჩნაძე და მუსიკოლოგიის დოქტორი თამარ წულუკიძე.**

სიმბოლურია, რომ საქართველოს ქრისტიანული სახელმწიფოს 1700 წლის იუბილეს სწორედ ისტორიისა და მუსიკალური ხელოვნების გამორჩეული მკვლევრები შეუერთდნენ.



სფეროები, რომლებმაც საუკუნეების მანძილზე შემოინახეს და გამოკვეთეს ჩვენი ეროვნული და სულიერი იდენტობა. მათმა მობრძანებამ და გაზიარებულმა ცოდნამ ღონისძიებას განსაკუთრებული მასშტაბი და აკადემიური სიმაღლე მიანიჭა. ნათელა ვაჩნაძემ სერიიდან „მოგონებათა უწყვეტი ჯაჭვი“ საინტერესოდ ისაუბრა: „**უცნობი ივანე ჯავახიშვილი**“, ხოლო მუსიკოლოგმა თამარ წულუკიძემ ყურადღება გაამახვილა ქართველი მსმენელის ფენომენზე.

ამავე საღამოზე გაიმართა დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის პედაგოგის, მარიამ კიკილაშვილის წიგნების პრეზენტაცია. საღამოს ფონად გასდევდა ექვსი წლის ცნობილი დეკლამატორის, სალომე პავლიაშვილის მიერ წაკითხული ლექსები ლადო ასათიანისა და გოდერძი ჩოხელის შემოქმედებიდან.

მოწვეულმა სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს ღონისძიების ორგანიზატორს, დამსწრე საზოგადოებას და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებს.

**მარიკა პოპიაშვილი,**
დედოფლისწყარო

# დიდი ჯარიმების ამოღება „ჰუმანური“ სასამართლოს მთავარი ფუნქციაა!

## ჯუანშერ ბურჭულაძესა და ვასილ მხეიძეს ახალ ბრალთან დაკავშირებით საპროცესო შეთანხმება გაუფორმდათ

**საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრს ჯუანშერ ბურჭულაძესა და ვასილ მხეიძეს საპროცესო შეთანხმება გაუფორმდათ. საქმე ეხება ახალ ბრალდებას, რომელიც გულისხმობს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ აღებასა და ქრთამის აღებაში დახმარებას.**



ჯუანშერ ბურჭულაძე დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მეორე ნაწილის **ა, გ ქვეპუნქტებით,** მესამე ნაწილის **ე ქვეპუნქტით** და სასჯელის სახით განესაზღვრა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სამ წელს მოიხდის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო ორი წელი ჩაეთვლება პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მასვე დაეკისრა ჯარიმა **1 000 000** ლარის ოდენობით. ვასილ მხეიძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 25, 338-ე მუხლის მეორე ნაწილის ა, გ ქვეპუნქტებით, მესამე ნაწილის ე ქვეპუნქტით და სასჯელის სახით განესაზღვრა ოთხი წლითა და ორი თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც ერთ წელს და ორ თვეს მოიხდის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო სამი წელი ჩაეთვლება პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მასვე, დაეკისრა ჯარიმა 100 000 ლარის ოდენობით.

**ამასთან, ჯუანშერ ბურჭულაძე უკვე მსჯავრდებულია სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში. თავდაცვის ყოფილ მინისტრს ათი წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი. ვასილ მხეიძე კი მსჯავრდებულია დიდი ოდენობით თანხის გაფლანგვაში დახმარებაზე და რვა წლით პატიმრობა აქვს მისჯილი.**

# აჭარის პოლიციამ ძალიან იყოჩაღა და საშიში თაღლითი აიყვანა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, კომპლექსურად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ბრალდებით ერთი პირი დააკავეს.**

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული დიდი ოდენობით თანხის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, მოქალაქეებს ატყუებდა, რომ ოქროს ნაკეთობების ბიზნესში თანხის დაბანდების სანაცვლოდ მათ მიღებულ მოგებას გაუნაწილებდა. ბრალდებული დანაშაულებრივი ქმედების შედეგად, თერთმეტი დაზარალებულისგან მოტყუებით დაეუფლა 707 975 ლარსა და 296 000 აშშ დოლარს , რამაც დიდი ოდენობით – 1 541 734 ლარის ზიანი გამოიწვია.

# იმერეთში სამი ნარკორეალიზატორი დააკავეს!

**პოლიციამ იმერეთში წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის, რეალიზაციისა და რეალიზაციის, ხელშეწყობის ბრალდებით სამი პირი დააკავა მათ შორის ერთი უცხო ქვეყნის მოქალაქეა.**

სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ერთ-ერთი დაკავებულისგან განახორციელეს ნარკოტიკული საშუალებების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა. პოლიციამ ნივთმტკიცებად ამოიღო სარეალიზაციოდ გამზადებული 107 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“. სამართალდამცველების მიერ ასევე ამოღებულია ნარკოტიკული საშუალებების დაფასოებისთვის საჭირო მასალები. დანაშაული 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# საფრანგეთში რენუარის მუზეუმიდან ცხრა მილიონი ევროს ღირებულების ნახატები მოიპარეს

**მძარცველებმა საფრანგეთში რენუარის მუზეუმიდან სამი ნახატი მოიპარეს. ჯერჯერობით უცნობია, კონკრეტულად რომელი ნახატები მოიპარეს მძარცველებმა, თუმცა, მუზეუმის განცხადებით, მათი საერთო ღირებულება ცხრა მილიონ ევროს აღემატება.**

როგორც ცნობილია, მძარცველები მუზეუმში სამშაბათს, გამთენიისას შეიჭრნენ და ოთხი ნახატი წაიღეს, რომელთაგან ერთი დაუვარდათ, როცა მათ პოლიცია დაედევნა.

„**რენუარის მუზეუმზე თავდასხმა კან-სიურ-მერის ისტორიისა და მემკვიდრეობის ნაწილზე თავდასხმაა. ეს ქმედებები განსაკუთრებით სერიოზულია**“, – განაცხადა ქალაქ კან-სიურ-მერის კომუნის მერმა ბრაიან მასონმა. რენუარის მუზეუმი 1960 წელს იმპრესიონისტი მხატვრის პიერ-ოგიუსტ რენუარის სახლში შეიქმნა. მხატვარი სახლში 1919 წელს გარდაიცვალა. მუზეუმში გამოფენილი კოლექცია მოიცავს რენუარის ცამეტ ნამუშევარს და დაახლოებით 40 ქანდაკებას, ავეჯსა და ფოტოსურათს.

# პასიური მწეველები ნაადრევი სიკვდილისთვის არიან განწირულნი!

**2023 წელს არამწეველებზე თამბაქოს კვამლის ზემოქმედება 1,66 მილიონი ნაადრევი სიკვდილის მიზეზი გახდა. ასეთ დასკვნამდე ჟურნალში The Lancet გამოქვეყნებული კვლევის ავტორები მივიდნენ.**

მეცნიერებმა პასიური მოწევის გავრცელება და მასთან დაკავშირებული დაავადებები 204 ქვეყანასა და ტერიტორიაზე შეისწავლეს. ანალიზმა 1990 წლიდან 2023 წლამდე პერიოდი მოიცვა. მკვლევართა მონაცემებით, 2023 წელს თამბაქოს კვამლის ზემოქმედება 2,7 მილიარდმა ადამიანმა განიცადა. მათ შორის 14 წლამდე ასაკის 767 მილიონი ბავშვი იყო. ავტორები ხაზს უსვამენ, რომ პასიური მოწევის უსაფრთხო დონე არ არსებობს.

კვამლის ზემოქმედება ასევე უკავშირდება დაავადებების განვითარებასა და ინვალიდობას. ძირითად შედეგებს შორის მკვლევრებმა გულის იშემიური დაავადება გამოყვეს. გარდა ამისა, პასიური მოწევა ბავშვებში სასუნთქი გზების ინფექციების 5,2 მილიონი შემთხვევის მიზეზი გახდა. ნაშრომის ავტორებმა განმარტეს, რომ არამწეველები ძირითადად სიგარეტის გვერდით კვამლს ისუნთქავენ. ის ფილტრს არ გადის, ხოლო თამბაქო მისი წარმოქმნისას სრულად არ იწვის. ამიტომ, მოცულობის ერთეულზე ასეთ კვამლში შეიძლება უფრო მეტი ტოქსიკური და კანცეროგენური ნაერთი იყოს, ვიდრე იმ კვამლში, რომელსაც უშუალოდ მწეველი ისუნთქავს.



# გორში საქართველოს დამსახურებული არტისტის სტეფანე გრიქუროვის მემორიალური დაფა გაიხსნა



**ღონისძიებას მისი შვილიშვილი, აკადემიკოსი ინესა მერაბიშვილი უძღვებოდა. გრიქუროვი იმ მსახიობთა შორის იყო, რომლებმაც გორის პროფესიული თეატრის ადრეული ისტორია შექმნეს.**

1920-იანი წლებიდან იგი გორის სცენისმოყვარულთა დრამატულ წრეში გაერთიანდა და სხვადასხვა პერიოდში წრეს ხელმძღვანელობდა.

1933□1934 წლებში სცენისმოყვარულებთან ერთად პროფესიული დასის ჩამოყალიბებაზე მუშაობდა. 1934 წელს პროფესიული თეატრი დააფუძნეს.

გორის სახელმწიფო თეატრში მის მიერ შექმნილი სცენური სახეებიდან აღსანიშნავია: **მაზუთიანი, ავეტიკა (ავქ. ცაგარლის □ციმბირელი□და □რაც გინახავს ვეღარ ნახავ□), ბესო (ა. სუმბათაშვილის □ღალატი□), ლომკაცა, გენერალი (პ. კაკაბაძის □კოლმეურნის ქორწინება□ და □ყვარყვარე თუთაბერი□), მელნიკოვი (მ. გორკის □ვასა ჟელეზნოვა□), კესლერი (კ. სიმონოვის □რუსეთის საკითხი□), ბაზილი (ბომარშეს □ფიგაროს ქორწინება□) და სხვა.**

**გრიქუროვი ქართულ კინოშიც მონაწილეობდა. 1955 წელს იგი თენგიზ აბულაძისა და რეზო ჩხეიძის ფილმში □მაგდანას ლურჯა□გამოჩნდა, სადაც გაბოს როლი შეასრულა. 1961 წელს კი სტეფანე გრიქუროვი მონაწილეობდა შოთა მანაგაძის ფილმში □კეთილი ადამიანები□**

1962 წელს დამსახურებული არტისტის წოდება მიანიჭეს. გარდაიცვალა 1984 წელს 88 წლის ასაკში.

# „მის მსოფლიო 2026“ დომინიკელი ლამაზმანი გახდა

**ვიეტნამის ქალაქ ნაჩანგში □მის მსოფლიო 2026□ის ფინალი გაიმართა, სადაც 110 ქვეყნის წარმომადგენელს შორის გამარჯვება დომინიკის რესპუბლიკის წარმომადგენელმა, ჯოჰეირი მოლა დომინგესმა მოიპოვა და ნანატრი □ლურჯი გვირგვინი□დაისაკუთრა.**

პირველი ვიცე-მისი ესპანელი ელისაბეთ რეინეს ალაბერნი გახდა, მეორე ვიცე-მისის ტიტული კი მალაიზიელ ტაანუსია ჩეტის ერგო.

ოჰეირი მოლა განათლებით ბიზნესის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების სპეციალისტია, ასევე პედაგოგი, ტელეჟურნალისტი და პროფესიონალი მოდელი. ის საქველმოქმედო ორგანიზაცია Voices of Tomorrow-ის დამფუძნებელი და პრეზიდენტია, რომელიც მოწყვლადი თემების ბავშვებს ინგლისურ ენას უფასოდ ასწავლის.

გამარჯვებულის თქმით, მისი მთავარი მიზანია, ინგლისური ენის




ცოდნა იმ ბავშვებამდე მიიტანოს, ვისაც ამის შესაძლებლობა ყველაზე ნაკლებად აქვს, რადგან ეს მათ მომავალში ახალი შესაძლებლობების შექმნაში დაეხმარება.

# კიდევ ერთი საჩუქარი ხელოვნების სასახლეს

**ხელოვნების სასახლეს □ლევილი 1918□ის წარმომადგენლებმა □ლადო გეგიამ და თამაზ გუჯეჯიანმა შუმერული ლურსმული დამწერლობით შესრულებული პატარა თიხის ფირფიტა აჩუქეს,** – ინფორმაციას სოციალურ ქსელში გიორგი კალანდია ავრცელებს.

**□ხელოვნების სასახლის კოლექციას კიდევ ერთი საოცარი, თითქმის 4 300 წლის ისტორიის მქონე ნივთი შეემატა. ეს უნიკალური ძველაღმოსავლური ძეგლი ხელოვნების სასახლეს □ლევილი 1918□ის წარმომადგენლებმა □ლადო გეგიამ და თამაზ გუჯეჯიანმა □ აჩუქეს, რისთვისაც მათ განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით.**

**ყველაზე საინტერესო კი თავად ტექსტის ამოკითხვის მცდელობაა. ფირფიტა საკმაოდ გაცვეთილია და ამიტომ ქვემოთ მოყვანილი წაკითხვა უკიდურესად სავარაუდოა და არა საბოლოო მეცნიერული ტრანსლიტერაცია. ცალკეული ნიშნების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს სამეურნეო აღრიცხვასთან, სადაც შესაძლოა, მოხსენიებული ყოფილიყო დაახლოებით □20 ცხვარი□და □30 [ერთეული] ქერი□ ასევე ძალიან ფრთხილი, სამუშაო ჰიპოთეზით, ტექსტში შეიძლება იკითხებოდეს პიროვნების სახელიც □□ლალუმა□(La-lu-ma / Lalima?).**

**ხაზგასმით ვამბობ: ეს სამი დეტალი □20 ცხვარი, 30 ქერი და სა-**





**ეს არის შუმერული ლურსმული დამწერლობით შესრულებული პატარა თიხის ადმინისტრაციული ფირფიტა, რომელიც აქადური პერიოდით, დაახლოებით ძვ. წ. 2300□ 2200 წლებით თარიღდება. ფირფიტის ზომაა დაახლოებით 34X32 მმ და ორივე მხარეს სულ 8 სტრიქონი აქვს. ნივთს ახლავს ცნობილი ბრიტანელი ასირიოლოგის, ბირმინგემის უნივერსიტეტის პროფესორ ჭილფრიდ George Lambert-ის ძველი სამეცნიერო ჩანაწერიც. ლამბერტი მას შუმერიდან მომდინარე ადმინისტრაციულ დოკუმენტად განსაზღვრავდა და განსაკუთრებით აღნიშნავდა ტექსტში მრავალრიცხოვან რიცხვით მონაცემებს.**

**ხელი □ლალიმა□□ჯერ მხოლოდ სავარაუდო წაკითხვაა და შემდგომ ასირიოლოგიურ კვლევას საჭიროებს. წარმოიდგინეთ □ პატარა თიხის ფირფიტაზე ვიღაცამ ოთხი ათასზე მეტი წლის წინ ჩაიწერა თავისი დროის ყოველდღიური სამეურნეო ანგარიში. ადამიანები, რომელთა სახელებიც დიდი ხანია, ისტორიამ დაივიწყა, თიხაზე დატოვებული რამდენიმე სოლის წყალობით დღეს ისევ გვესაუბრებიან.**

**ახლა ეს პატარა, მაგრამ კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი წერილობითი კულტურის ძეგლი თბილისში, ხელოვნების სასახლეში დაიდებს ბინას□** □წერს **გიორგი კალანდია.**

# რობოტების აქცია პოლონეთში – კონტროლი ხელოვნურ ინტელექტზე!

**ვარშავაში, პოლონეთის ციფრულ საქმეთა სამინისტროს შენობასთან აქცია გაიმართა, რომელშიც 30-მდე რობოტმა მიიღო მონაწილეობა. ისინი ხელოვნური ინტელექტის დანერგვის რეგულირებასა და სამუშაო ადგილების დაცვას ითხოვდნენ.**

ქუჩაში ჰუმანოიდური მანქანები და ოთხფეხა, ძაღლისმაგვარი რობოტები გავიდნენ. ისინი წრეზე მოძრაობდნენ და დროშებს აქნევდნენ. ისმოდა ლოზუნგები: **□დავიცვათ სამუშაო ადგილები□ □წესების დაწესების დროა□და □ნუ ელოდებით, დააწესეთ რეგულაციები□**

მიტინგის ორგანიზატორი ინიციატივა Democratism-ია, რომელიც შრომის ბაზარზე ხელოვნური ინტე-




ლექტისა და რობოტიზაციის გავლენას იკვლევს. აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, რობოტმა Agibot A3-მა განაცხადა, რომ პოლონეთის დედაქალაქში შეკრებილ მანქანებს უნდა დაემტკიცებინათ, თუ რამდენად ხელმისაწვდომი გახდა უკვე მსგავსი ტექნოლოგიები.

**აქციის ორგანიზატორმა გჟეგოჟ კულისმა განმარტა, რომ დასაქმებულების რობოტებითა და AI-ით ჩანაცვლების რისკზე ყურადღების მიპყრობა სურდა. მისი თქმით, ცვლილებებმა შესაძლოა არამხოლოდ ფიზიკური, არამედ ინტელექტუალური შრომაც მოიცვას.**

**რობტოები აქციის მიზანს განმარტავენ: მანქანებს უკვე შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაადგილება და რთული მოქმედებების შესრულება. აქციამ გამვლელების ყურადღება მიიპყრო. მონაწილეებთან ასევე გამოვიდა პოლონეთის ციფრულ საქმეთა მინისტრი კშიშტოფ გავკოვსკი.**

# მეცნიერებმა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ცუდი წელი დაასახელეს

**ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ 536 წელი კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ცუდი იყო. ამ დროს მოხდა ვულკანების კატასტროფული ამოფრქვევა, რომელმაც გამოიწვია ხანგრძლივი სიცივე და შიმშილი,** – ამის შესახებ გამოცემა Science Alert-ი წერს.

მკვლევრებმა ყინულის ნიმუშები გააანალიზეს, რომელიც გრენლანდიასა და ანტარქტიდაში ამდენი ხნის მანძილზე დაგროვდა. სპეციალისტებმა ტერფის ნაკვალევი იპოვეს (ვულკანური ფერფლის და გამონაბოლქვის ნარჩენი), რომელიც 536 წლით თარიღდება (ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე პირველის მმართველობა). ეს პერიოდი შეესაბამება ჩრდილოეთის სფეროში საშუალო ტემპერატურის ყველაზე მკვეთრი ვარდნის პერიოდთან. თანამედროვეების თქმით, მზე აღარ ათბობდა ადამიანებს, ხოლო მისი ნათება მთვარეს უტოლდებოდა.

მეცნიერებმა ასევე იპოვეს 540 წლით დათარიღებული ვულკანური ნარჩენები, რომელიც სავარაუდოდ პირველმა ამოფრქვევამ გამოიწვია, რასაც მოჰყვა ეპიდემია, გვალვა და შიმშილი. ამ ყველაფერს თან ახლდა მასობრივი მიგრაციები, სხვადასხვა ომები.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოტვირთულ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„ტორში“**
ზიგზაგის ქუჩა N6

uac(უაკ)070.4(479.22)
C—323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 14 სექტემბერს**